

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ “


ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა თამარ მეფის სახელობის
გიმნაზიის რექტორი:
დეკანოზი მირიან (ნოდარ) სამხარაძე
ბრძანება #19/2; „23“ „თებერვალი“ 2022წ.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის
გიმნაზიის

შ ი ნ ა გ ა ნ ა წ ე ს ი

რედაქტირებული - ბრძანება #19/2; 23 თებერვალი, 2022 წელი

თ ბ ი ლ ის ი
2022 წელი



ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის

შ ი ნ ა გ ა ნ ა წ ე ს ი

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი

თავი I - ზოგადი დებულება

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. შინაგანაწესი აწესრიგებს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიაში (შემდგომში „გიმნაზია“) საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, აგრეთვე მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა და დასაქმებულთა საქმიანობის წარმართვის წესებს;
2. შინაგანაწესში განსაზღვრულია, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო ან/და სასწავლო პროცესის დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების პერიოდი, შრომის ანაზღაურების გაცემის წესი, დრო და ადგილი და წესი. ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის, წახალისებისა და ადმინისტრაციული/დისციპლინური გადაცდომების, ზომების გამოყენების, განცხადება-საჩივრის განხილვისა და სხვა (მასწავლებელთა და მოსწავლეთა მ.შ. სსსმ მოსწავლეთა უფლებები, მოვალეობები, ქცევის წესები, სკოლის მართვის მექანიზმები, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და გადაყვანის პირობები) წესები.

მუხლი 2. შინაგანაწესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებანი

ადმინისტრაცია - არის რექტორის და აღმასრულებელი დირექტორის აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს „გიმნაზიის“ რექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის დავალებების, გადაწყვეტილებების, ბრძანებების, განკარგულებებისა და სხვა აქტების შესრულებას;

ავტორიზაცია - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

აღმასრულებელი დირექტორი - პირი, რომელიც რეალურად ახორციელებს რექტორის მიერ ყოველდღიურ წერილობით ან/და ზეპირ დავალებებს, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს გიმნაზიის რექტორი;

გიმნაზია - საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით შექმნილი ორგანიზაცია /დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო-სააღმზრდელო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის, კონსტიტუციის, კონსტიტუციური შეთანხმების (საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის), კანონების - მეწარმეთა შესახებ, განათლების, შრომის და ა.შ. და საქართველოს მართვა-გამგეობის

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

დებულებისა და საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმების, ასევე, გიმნაზიის დებულების, შინაგანაწესისა და წესდების შესაბამისად;

დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა – ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით დადგენილი გაკვეთილების (საათების) გარდა, მასწავლებლის მუშაობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად;

დამხმარე და ტექნიკური პერსონალი - სამტატო განრიგით გათვალისწინებული დანარჩენი პერსონალი;

დისციპლინური გადაცდომა - გიმნაზიის შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევა;

დისციპლინური სახდელი - გიმნაზიის შინაგანაწესით განსაზღვრული წესების გადაცდომისათვის გათვალისწინებული ზემოქმედების ადმინისტრაციული ზომა;

ეროვნული სასწავლო გეგმა – დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ და მაქსიმალურ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებების აღწერას;

ექსტერნატი – პირის მიერ ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მიღების წესი, რომელმაც დამოუკიდებლად აითვისა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

ვაუჩერი – სახელმწიფოს მიერ მოსწავლისათვის გადაცემული, მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოშვებული იქნეს როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული ფორმით და რომელიც განკუთვნილია პროგრამის ათვისების დასაფინანსებლად;

ზეგანაკვეთური სამუშაო - მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვანისთვის აღემატება კვირაში 40 საათს;

ზოგადი განათლება – განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს;

თემატურ - **კალენდარული გეგმა** - საგნის თემატიკის, პროგრამისა და სტანდარტის მიხედვით, დროში გაწერილი საათები;

თვითშეფასება – სკოლის მიერ მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის შემოწმება, რომლის პროცესში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები;

ინკლუზიური განათლება – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- კვალიფიკაცია** – კონკრეტულ შრომით საქმიანობაში პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციათა ფლობის დონე;
- კვალიფიკაციის ამაღლება** – სწავლის პროცესი, რომლის მიზანია გარკვეულ სფეროში კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ დამატებით ახალი პროფესიული ცოდნის შექმნა და უნარ-ჩვევების დახვეწა;
- კლასი** – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა დროებითი, სულ მცირე ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შენარჩუნებული ერთიანობა, რომელიც შედგენილია ეროვნულ სასწავლო გეგმებში მოცემული რეკომენდაციებისა და ამ დაწესებულების წესდების მიხედვით და რომელში გაერთიანებული მოსწავლეები ძირითადად ერთად სწავლობენ ზოგადი განათლების ერთ-ერთი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს;
- კონკორდატი** - კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის;
- მასწავლებელი/პედაგოგი** – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებული, შესაბამისი განათლების მქონე პირი, რომელიც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მინიმუმ ერთ საგანს მაინც - შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული პირი, რომელიც პედაგოგიურ საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ შესაბამისად;
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების პორტფოლიო** – მასწავლებლის პროფესიული მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული წარმატებების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი** – პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მასწავლებელი;
- მენეჯერი** - ხელმძღვანელი პირი, რომელიც პასუხს აგებს დაწესებულებაში კონკრეტული დარგის/სამსახურის შრომის ორგანიზაციასა და კონტროლზე ფუნქციების შესაბამისად;
- მუშაკი** - შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული პირი;
- პედაგოგიური საქმიანობა** – მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან საგაკვეთილო და დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა;
- პროფესიული გადამზადება** – სწავლების პროცესი, რომლის მიზანია მოიცვას ადრე მიღებულისაგან განსხვავებული პროფესიული ცოდნის შექმნა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც განპირობებულია პროფესიული საქმიანობის ხასიათისა და შინაარსის შეცვლის აუცილებლობით;
- რექტორი** - უმაღლესი თანამდებობრივი პირი, რომელიც ინიშნება უვადოდ დამფუძნებლის მიერ, ხელმძღვანელობს და წარმოადგენს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიას და ერთპიროვნულად მოქმედებს „გიმნაზიის“ სახელით;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

რექტორატი - „გიმნაზიის“ სტრუქტურის მიხედვით რექტორის დაქვემდებარებაში არსებული სამტატო ერთეულის სათათბირო ორგანო;

სასკოლო სასწავლო გეგმა - სასწავლო გეგმა, რომელიც კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ დატვირთვას აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში; განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურებას, აგრეთვე სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო ღონისძიებებს;

სერტიფიცირება - მასწავლებლისათვის პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება ან/და განახლება;

სკოლის პედაგოგიური საბჭო - სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო;

სპეციალისტი - პირი, რომელსაც მიენიჭა პროფესიული განათლების ერთ-ერთი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი (სერთიფიკატი).

შრომითი ხელშეკრულება - ვადიანი, უვადო, წერილობითი ან/და ზეპირი ფორმა, რომელიც იდება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.

თავი II. გიმნაზიის მისია და მართვა

მუხლი 3. გიმნაზიის მისია

ზოგადი განათლების სამივე - დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე მოსწავლეს მისცეს მრავალმხრივი განათლება. აღზარდოს ეროვნული, კულტურულ-მემკვიდრეობითი, ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად, რომელიც იქნება ქვეყნის ინტერესების დამცველი; შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეებს განუვითაროს მუსიკალური, ხალხური რეწვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობებისათვის საჭირო საგანმანათლებლო უნარ-ჩვევები, მოახდინოს მუსლიმან ქრისტიან ქართველ ბავშვთა თანაცხოვრება-ინტეგრირება. ხელი შეუწყოს მოსწავლეებს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებაში, მომავალი განვითარების გზის სწორად არჩევასა და სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრებაში.

გიმნაზიის ხედვა:

ზოგადი განათლების სამივე - დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაში ხელშეწყობა, ჰუმანიტარული საგნების, მათ შორის უცხოური ენის - ინგლისურის გაღმავებული სწავლება. გიმნაზიის განახლებული სასწავლო პროგრამებისა და გამართული ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, საშუალო ზოგადი განათლების მქონე მოზარდის მომზადება საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევით, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ერთი მესამედის ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და კარიერულ წინსვლას შესაძლებლობის შესაბამისად. მუსლიმან და ქრისტიან ქართველ ბავშვთა თანაცხოვრება, შემდგომში მათი ინტეგრირების მიზნით. პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

გიმნაზიის მიზანია:

- ✚ ზოგადი განათლების მიცემა მოსწავლეთათვის დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე;
- ✚ სახელოვნებო განათლება;
- ✚ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში მცხოვრები ქართველი ბავშვებისათვის შესაბამისი სახელოვნებო განათლების მიცემა;
- ✚ მოსწავლეების აღზრდა ეროვნულ-კულტურულ და ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად;
- ✚ ხალხური რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების ძლიერი საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნა და ტრადიციული სახელოვნებო დარგების აღორძინება;
- ✚ კადრების მომზადება სახელოვნებო და ჩვენი წინაპრების მემკვიდრეობით მიღებულ ძირძველ ტრადიციულ სახელოვნებო/სახელობო სპეციალობებში;
- ✚ საქართველოს რეგიონებიდან და უცხოეთიდან ჩარიცხულ მოსწავლეთა განათლების მიღებაში ხელშეწყობა;
- ✚ სკოლამდელი აღზრდა;
- ✚ საგამომცემლო საქმიანობა.

მუხლი 4. გიმნაზიის მართვა

1. „გიმნაზიას“ აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მართვის სტრუქტურა, „გიმნაზიის“ წესდების მიხედვით, გიმნაზიის მმართველი ორგანოები განსაზღვრულია „გიმნაზიის“ წესდების IV თავის მე-6 მუხლის 6.1. პუნქტში, რომლის მიხედვით, გიმნაზიას“ მართავს რექტორი და აღმასრულებელი დირექტორი, რექტორი ინიშნება უვადოდ დამფუძნებლის მიერ, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობს და წარმოადგენს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიას და ერთპიროვნულად მოქმედებს „გიმნაზიის“ სახელით, ხოლო აღმასრულებელ დირექტორს ნიშნავს და ანთავისუფლებს რექტორი;
2. „გიმნაზიაში“ სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის წარმართვას არეგულირებს დირექცია, სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი, ადმინისტრაცია და დანარჩენი პერსონალი;
3. „გიმნაზია“ სარგებლობს კანონმდებლობითა და წესდებით მინიჭებული უფლებებით, განსაზღვრავს „გიმნაზიის“ შინაგანაწესს, დებულებას, აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობის წესს და დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებს;
4. „გიმნაზიის“ შინაგანაწესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით;
5. „გიმნაზიის“ შინაგანაწესს, დებულებას, ბიუჯეტს, საშტატო ნუსხას, სახელფასო ფონდს, სკოლის წესდების შესაბამისად, ამტკიცებს „გიმნაზიის“ რექტორი;
6. „გიმნაზიის“ რექტორი ამტკიცებს „გიმნაზიის“ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც დამტკიცებამდე განიხილება მისი მონაწილეობით პედსაბჭოს სხდომაზე;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

7. „გიმნაზიის“ რექტორი ამტკიცებს „გიმნაზიის“ ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმას, გრძელვადიან სტრატეგიულ და პრევენციული ღონისძიებების გეგმებს;
8. გიმნაზიის რექტორი, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;
9. ერთპიროვნულად ახორციელებს „გიმნაზიაში“ საკადრო ცვლილებებს, ნიშნავს და ანთავისუფლებს თანამშრომლებს, აფორმებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს და მათთან წყვეტს ვადამდე ან/და ვადის გასვლის შემდეგ შრომით ურთიერთობას, მისი პირობების დარღვევის, დაკისრებული საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან/და სხვა შემთხვევაში, შრომის კოდექსითა და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით;
10. გიმნაზიის რექტორი, დასაქმებულ მხარესთან შეთანხმებით, ადგენს შესასრულებელი ან/და შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოს ოდენობასა და გადახის წესს, რაც განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით/ბრძანებით;
11. უზრუნველყოფს საქმის წარმოებას საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის #414 ბრძანებულებით „ერთიანი საქმისწარმოების წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ დადგენილი წესით, უფლებამოსილია განახორციელოს საგამომცემლო საქმიანობა ფასიანი/უფასო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება;
12. ანაწილებს და განსაზღვრავს დირექციის, ადმინისტრაციის, საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელთა და დასაქმებულთა ფუნქციებს, „გიმნაზიაში“ დასასაქმებელთა მიღების წესებს, უფლება-მოვალეობებს, ვალდებულება-პასუხისმგებლობებს, თანამშრომელთა წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის ან/და წახალისებისა და სხვა მექანიზმებს, რომელიც დეტალურადაა გაწერილი „გიმნაზიის“ დებულებაში;
13. „გიმნაზიის“ რექტორი კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის სამუშაო ჯგუფებს, საკონსულტაციო/სათათბირო ორგანოს/საბჭოს, კომისიებს და დებულებით ან/და ბრძანებით განსაზღვრავს მათი მუშაობის წესს, შესაძლო ვაკანსიებზე აცხადებს ღია და შიდა კონკურსს შესაბამისი კონკურსის წესისა და პირობების დაცვით;
14. „გიმნაზიის“ რექტორი მასწავლებლებთან და გახანგრძლივებული ჯგუფის ხელმძღვანელებთან დებს შრომითი ურთიერთობის ვადიან ან/და უვადო ხელშეკრულებებს და მომსახურების ხელშეკრულებებს და ასევე, გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას, ხოლო დანარჩენი პერსონალის დანიშვნის შემთხვევაში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;
15. შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით იდება მხოლოდ შემდეგი საფუძვლის არსებობისას, კერძოდ, თუ:
 - ა) შესასრულებელია კონკრეტული მოცულობის სამუშაო;
 - ბ) შესასრულებელია სეზონური სამუშაო;
 - გ) სამუშაოს მოცულობა დროებით იზრდება;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

დ) ხდება შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლით სამუშაოზე დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლება;

16. უვადოა შრომითი ხელშეკრულება, თუ შრომითი ხელშეკრულების ვადა 30 თვეზე მეტია, ან თუ შრომითი ურთიერთობა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების მიმდევრობით ორჯერ ან მეტჯერ დადების შედეგად გრძელდება და მისი ხანგრძლივობა 30 თვეს აღემატება;
17. ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულება მისი ვადის გასვლისთანავე გაგრძელდა ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება პირველი ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის ვადაში დაიდო;
18. „გიმნაზიის“ რექტორი უფლებამოსილია დასაქმების მსურველთან, დასაქმების შემთხვევაში, დადოს ხელშეკრულება (შრომითი ურთიერთობის, მომსახურების, ვადიანი, უვადო) ან/და გამოსცეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი - ბრძანება, ან დადოს შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულება და გამოსცეს ხელშეკრულებაც და გამოსცეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი - ბრძანება;
19. „გიმნაზიის“ რექტორი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანოს ცვლილება/ცვლილებები ინდივიდუალური სამართლებრივ აქტში - ბრძანებაში.

შენიშვნა: შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულების ნიმუში ახლავს შინაგანაწესს.

მუხლი 5. „გიმნაზიის“ საგანმანათლებლო სტრუქტურული ქვედანაყოფები

1. „გიმნაზიის“ სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები, უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია დებულებაში;
2. „გიმნაზიის“ საქმიანობის განხორციელების სფეროა ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურება სამივე საფეხურზე, კერძოდ:
 - ✓ დაწყებითი საფეხური - I –VI;
 - ✓ საბაზო საფეხური - VII – IX;
 - ✓ საშუალო საფეხური - X – XII;
3. „გიმნაზიის“ მართვის თანამდებობრივი სტრუქტურული ერთეულებია:
 - ა) რექტორი
 - ბ) დირექცია;
 - გ) ადმინისტრაცია;
 - დ) პედაგოგები;
 - ე) დამხმარე და ტექნიკური პერსონალი.
4. „გიმნაზიაში“ მოსწავლეები დღის პირველ ნახევარში გადიან (9⁰⁰ სთ. – 14⁵⁵ სთ.) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნების არჩევითი ბლოკის გათვალისწინებით და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო - საადმინისტრაციო პროგრამებს, ხოლო დღის მეორე ნახევარში, საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, „გიმნაზია“ დაწყებითი საფეხურის - I –VI კლასებისა და ხელშეკრულების საფუძველზე, მშობლის სურვილის შემთხვევაში (შესაბამისი საფასურის გადახდისას), საბაზო საფეხურის - VII – IX კლასების მოსწავლეებს უწევს გახანგრძლივებულ მომსახურებას;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

5. „გიმნაზიის“ მოსწავლეებს, გახანგრძლივებული რეჟიმის შემთხვევაში, მშობლის სურვილის გათვალისწინებით, ეძლევათ ერთჯერადი კვება/სადილი - 14⁰⁰ სთ – 15⁰⁰ სთ. პერიოდში, სატრაპეზოში მოსწავლეთა ორგანიზებულად გამოცხადებაზე პასუხისმგებელია კლასის დამრიგებელი და გახანგრძლივებული ჯგუფის ხელმძღვანელი;
6. „გიმნაზიის“ კოლექტივი, ყველა პედაგოგი, მუშაკი, მოსწავლე და მშობელი ვალდებულია დაიცვას გიმნაზიის შინაგანაწესი.

მუხლი 6. „გიმნაზიაში“ თანამშრომელთა მიღება-დათხოვნის წესი

1. „გიმნაზიაში“ დასაქმების მსურველთა სამუშაოზე მიღება ხდება კონკურსის ან/და გასაუბრების შედეგების საფუძველზე, აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებით გამოსაცდელი ვადით, რომელიც არ აღემატება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადას;
2. დასასაქმებელსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ხელშეკრულება, რომლის ნიმუშიც ერთვის დანართის სახით შინაგანაწესს, იდება წერილობითი ფორმით და გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი/ბრძანება;
3. „რექტორი“ უფლებამოსილია „გიმნაზიაში“ დასაქმებულთან ცალმხრივად/ერთპიროვნულად შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა;
4. მუშაკის დასაქმებაზე რექტორის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება რექტორის ნება მუშაკის სამუშაოზე მიღება/განთავისუფლებაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადება-მოშლას, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას, ურთიერთგამომრიცხავი პირობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება მოქმედ კანონმდებლობას;
5. „გიმნაზიაში“ დასაქმებული თავისუფლდება დაკავებული პოზიციიდან შრომითი ხელშეკრულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვადის გასვლისთანავე, თუ მასთან არ გაგრძელდება შრომითი ხელშეკრულება, ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება პირველი ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის ვადაში არ დაიდება, ან/და არ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი/ბრძანება;
6. რექტორის ინიციატივით შესაძლო ცვლილებების შესახებ დასაქმებულს ეცნობება ერთი თვით ადრე, დასაქმებულის უარის შემთხვევაში ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად;
7. რექტორის ინიციატივით მუშაკთან შრომითი ურთიერთობის შესაძლო მოშლის შემთხვევაში, დასაქმებულის გაუფრთხილებლობისას, დასაქმებულს მიეცემა ერთი თვის სახელფასე ანაზღაურება;
8. რექტორის ინიციატივით შესაძლო ცვლილებების შესახებ მუშაკს ეცნობება 5 დღით ადრე, მუშაკის უარის თქმის შემთხვევაში ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად;
9. მასწავლებელს, სასწავლო წლის I ან II სემესტრის განმავლობაში შესაძლო ცვლილებების შესახებ, კერძოდ: მოსწავლეთა რაოდენობის გამო ფინანსური კლასის შესაძლო შემცირება/შერწყმა (მობილობა) შემთხვევაში, შეუწარმუნდება მასწავლებლის

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

შესაბამისი სტატუსით გათვალისწინებული ანაზღაურება მიმდინარე სემესტრის ბოლომდე;

10. „გიმნაზიაში“ პედაგოგის კვირეული დატვირთვა და ცვლილებები, ყოველი ახალი სასწავლო წლისათვის, განისაზღვრება საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრების მიერ, პედაგოგის მიერ წინა სასწავლო წელს მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი სასკოლო-სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, ტარიფიკაციის შედგენამდე, (პედაგოგთა კვირეული დატვირთვა ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას), რომელიც განიხილება და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე რექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის მონაწილეობით;
11. „გიმნაზიაში“ დისტანციური/ონლაინ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში გახანგრძლივებული ჟგუფის, წრის ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკარის, სამედიცინო პერსონალის, მძღოლების (თუ მოსწავლე/ები არ ისარგებლებენ ტრანსპორტით, სასკოლო სივრცით, ბიბლიოთეკით), ბუღალტრისა და კლასის დამრიგებლის პოზიციაზე დასაქმებულს დროებით შეუჩერდება შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულება, რომლის აღდგენაც მოხდება სასწავლო პროცესის რეალერ/ფიზიკურ გარემოში გაგრძელებისთანავე;
12. მუშაკმა შრომითი ურთიერთობის/ხელშეკრულების გაგრძელების/განახლების სურვილის შემთხვევაში, უნდა გაიაროს კონკურსი/გასაუბრება „გიმნაზიის“ მიერ დადგენილი წესით და დადოს ახალი ხელშეკრულება. ასეთის შემთხვევაში შრომის წიგნაკში განთავსისუფლება–მიღებაზე ჩანაწერი არ კეთდება;
13. „გიმნაზიაში“ დასაქმების მსურველთა შესარჩევად ვაკანსიების განთავსება ხდება „გიმნაზიის“ ვებ-გვერდზე, პარალელურად დასაქმების საიტზე და რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით/ბრძანებით ტარდება ზეპირი/საჯარო ან/და დისტანციური გასაუბრება რექტორის მიერ დამტკიცებული საკონკურსო წესის დაცვით;
14. „გიმნაზიაში“ სამუშაოზე მისაღებად, რეგისტრაციაზე გავლისა და გასაუბრების შემდეგ, მუშაკი ვალდებულია წარმოადგინოს:
 - ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი;
 - ✓ CV - რეზიუმე;
 - ✓ განათლების დამადასტურებელი (დიპლომის) დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
 - ✓ 1 ფოტოსურათი და დისკზე ჩაწერილი;
 - ✓ პროფესიული კვალიფიკაციის (სტატუსის) დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
 - ✓ ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის“ ნასამართლეობის შესახებ;
 - ✓ მიღებული სერთიფიკატები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

15. „გიმნაზიაში“ მუშაკის სამუშაოზე მიღება/თანამდებობის დაკავება/შეთავსება ხორციელდება შინაგანაწესის, წინამდებარე დებულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
16. დასაქმებულს უფლება აქვს შეთავსებით დაიკავოს სხვა თანამდებობა და შეასრულოს ანაზღაურებადი სამუშაო;
17. შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება;
18. დასაქმებულის უფლება, შეასრულოს სხვა სამუშაო, შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულებით შეიზღუდოს, თუ ასეთი სამუშაოს შესრულებამ შეიძლება ხელი შეუშალოს მის ძირითად სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას;
19. პედაგოგის კვალიფიკაციის მქონე დასაქმებულს, სპეციალობის შესაბამისად, აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებით, რექტორის ბრძანებით, შეუძლია შეითავსოს კვირეული დატვირთვის $\frac{1}{2}$ საათების რაოდენობა, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით;
20. „გიმნაზია“ ვალდებულია „დასაქმებულს“ აუნაზღაუროს შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო (ასეთის შემთხვევაში);
21. განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, დამსაქმებელი უფლებამოსილია გამოიძახოს დასაქმებული კუთვნილი შვებულებიდან. მხარეთა შეთანხმებით, დასაქმებულის შვებულებიდან გამოძახება ანაზღაურდება ან მას მიეცემა სანაცვლო დასვენების დღეები;
22. დასაქმებული პირადი ინფორმაციის გაცემის/გამოყენების შესახებ თანხმობას გიმნაზიის საჭიროებისათვის ადასტურებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით;
23. მუშაკის გაცდენილი სამუშაოს საპატიოდ ჩათვლისა და სახელფასე ანაზღაურების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს „გიმნაზიის“ რექტორი აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებით, რაც დასტურდება მუშაკის განცხადებაზე რექტორის ვიზირებით და რექტორის ინდივიდუალური სამართლებლივი აქტით (ბრძანებით);
24. რექტორატი ან/და დირექტორატი ვალდებულია დასაქმებულებს გააცნოს შინაგანაწესი, დებულება, განუმარტოს მუშაკს მისი უფლება-მოვალეობანი, სამუშაო ხანგრძლივობისა და შრომის, მათ შორის ზეგანაკვეთური სამუშაოსა და ანაზღაურების, პირობები;
25. „გიმნაზიაში“ დასაქმებული ყველა მუშაკი ვალდებულია დაიცვას შრომითი, სასწავლო და საშემსრულებლო დისციპლინა, შრომის უსაფრთხოების წესები, კერძოდ:
 - ✓ დროულად და ზუსტად შეასრულოს დირექციის მითითებები;
 - ✓ სამსახურებრივი პოზიციის დატოვების ან/და განთავისუფლების შესახებ დირექციას აცნობოს 5 დღით ადრე, ხოლო საქმიანობის დროებით შეწყვეტის შესახებ 10 დღით ადრე;
 - ✓ დაიცვას წესდებით, შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- ✓ დაუგვიანებლად გამოცხადდეს სამსახურში, დაიცვას დღის რეჟიმი, იყოს კორექტული;
- ✓ რექტორის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;
- ✓ გაუფრდხილდეს „გიმნაზიის“ ავტორიტეტსა და იმიჯს;
- ✓ ეკონომიურად ხარჯოს წყალი, ელექტროენერგია, არ დაუშვას შენობის, მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარისა და სასწავლო რესურსების დაზიანება;
- ✓ უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური, ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების წესების დაცვა;
- ✓ დაიცვას „გიმნაზიასთან“ დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;

P.S უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 იანვრის #06/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე და შინაგანაწესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ახლავს შინაგანაწესს დანართის სახით.

26. „გიმნაზიაში“ „დასაქმებულის“ სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველია:

- ა) ეკონომიკური გაერემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რაც აუცილებელს ხდის სამუშაო ძლის შემცირებას;
- ბ) მხარეთა შეთანხმება;
- გ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- დ) შრომითი ხელშეკრულების მოშლა;
- ე) საკადრო ცვლილებების განხორციელება;
- ვ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
- ზ) „დასაქმებულის“ ინიციატივა;
- თ) რექტორის ან/დირექტორის ინიციატივა;
- ი) დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების მის მიერ დაკავებულ პოზიციასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობა;
- კ) ავტორიზაციის შეჩერება/გაუქმება;
- ლ) გარდაცვალება;
- მ) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება;
- ნ) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს ხელშეკრულების შეწყვეტას;
- მ) „გიმნაზიის“ წესდებით, ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესი.

27. დასაქმებულს, სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში, მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით.

მუხლი 7. სამუშაო დრო და პირობები, წახალისება, დასვენების დრო, შვებულება, მივლინება;

1. „გიმნაზიაში“ დასაქმებულთა სამუშაო რეჟიმი ხორციელდება „გიმნაზიის“ წესდების, დებულების და წინამდებარე შინაგანაწესის მიხედვით, კვირის ხუთი დღის განმავლობაში („გიმნაზიის“ მიერ შედგენილი კალენდრის შესაბამისად, რომელიც ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას), დასვენების დღეებია შაბათ-კვირა, ასევე ორგანული კანონით, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეები და საეკლესიო კალენდრით გათვალისწინებული საუფლო დღესასწაულები;
2. ექვსდღიანი, შაბათის ჩათვლით სწავლება დასაშვებია თუ სკოლას გაუთვალისწინებელი (ფორსმაჟორი, სარემონტო სამუშაოები, ეპიდემიები და სხვა) მიზეზების გამო, გაუცდა სასწავლო დღე/დღეები;
3. კალენდარული ან/და სასწავლო წლის დარღვევა/შეცვლა დაუშვებელია, გარდა ფორსმაჟორული ვითარებისა, ცვლილებების შეტანა ხდება რექტორის ბრძანებით;
4. „გიმნაზია“, ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, პირველივე პედსაბჭოს სხდომაზე ამტკიცებს სასწავლო წლის კალენდარს, რომელშიც მოცემულია სამუშაო და დასვენების დღეები;
5. „გიმნაზიაში“ სასწავლო პროცესი წარიმართება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების/რეკომენდაციების შესაბამისად, ფორსმაჟორის გათვალისწინებით და შინაგანაწესის დაცვით;
6. სასწავლო წლის ხანგრძლივობა, საგაკვეთილო პროცესის დაწყება-დამთავრებისა და დასვენების შესახებ საკითხი დეტალურად განისაზღვრება „გიმნაზიის“ სასკოლო სასწავლო გეგმით;
7. „გიმნაზიაში“, მშობელთა მოთხოვნის შემთხვევაში, დაწყებით და საბაზო საფეხურებზე განხორციელდება გახანგრძლივებული ჯგუფის მომსახურება;
8. „გიმნაზიის“ რექტორატის და დირექტორატის წევრებისათვის, გამონაკლის შემთხვევაში, „გიმნაზიის“ საჭიროებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლებისათვის, რექტორის ბრძანებით, შესაძლოა დადგინდეს არანორმირებული სამუშაო დღე;
9. გიმნაზიაში მუშაკის სამუშაო დღე, გარდა მცოცავი გრაფიკით მომუშავეებისა, იწყება 10 საათზე და მთავრდება 18 საათზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
10. სრული დატვირთვის არ მქონე მასწავლებლის სამუშაო დღის დაწყება განისაზღვრება საგაკვეთილო ცხრილის მიხედვით და მთავრდება 16 საათზე;
11. მეორე ცვლის/გახანგრძლივებული ჯგუფის ხელმძღვანელისათვის სამუშაო დღე განისაზღვრება 14 - 19 საათამდე;
12. მუშაკს, ქორწინების შემთხვევაში, შეუძლია ისარგებლოს 10 დღიანი (სამუშაო დღე) საქორწინო შვებულებით - საქორწინო შვებულება ანაზღაურებადია;
13. მუშაკს შეუძლია ისარგებლოს 1 საათიანი შესვენებით;
14. რექტორის მიერ, აღმასრულებელი დირექტორისა და მენეჯერების სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, „გიმნაზიაში“ დასაქმებულთათვის, დაკისრებული

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

მოვალეობების სანიმუშოდ შესრულებისათვის, კეთილსინდისიერი მუშაობის, მოსწავლეების სწავლა-აღზრდაში მიღწეული წარმატებისათვის მასწავლებელთა/ თანამშრომელთა მიმართ გამოიყენება წახალისების ფორმები, კერძოდ:

15. მოვალეობის კეთილსინდისიერად, სანიმუშოდ და პასუხისმგებლობით შესრულებისათვის გამოიყენება წახალისების ფორმები, როგორცაა:
 - ა) რექტორის ბრძანებით მადლობის გამოცხადება ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით;
 - ბ) დანამატის/პრემიის გაცემით;
 - გ) ფასიანი საჩუქრით;
 - დ) დიპლომის ან/და სიგელით დაჯილდოვებით;
 - ე) მეცამეტე ხელფასით;
16. განსაკუთრებული შრომითი საქმიანობისათვის რექტორს შეუძლია გამოიყენოს წახალისების სხვა ფორმები;
17. „დასაქმებულს“ შეუძლია ისარგებლოს ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებით, ხელშეკრულებისა და რექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის/ბრძანების შესაბამისად;
18. ანაზღაურებადი შვებულება ეძლევა რექტორს, ადმინისტრაციულ დირექტორს, ადმინისტრაციას და დამხმარე ტექნიკური პერსონალს 24 სამუშაო დღე, შაბათ-კვირა სამუშაო დღეების რაოდენობაში არ ჩათვლება, ხოლო მასწავლებელს 48 კალენდარული დღე (შაბათ-კვირის ჩათვლით) დადგენილი წესის მიხედვით;
19. სხვა ობიექტური გარემოებების გამო, შეიძლება დადგინდეს შვებულების მიცემის განსხვავებული წესი;
20. ანაზღაურების გარეშე შვებულება ეძლევა დასაქმებულს არანაკლებ 15 კალენდარული დღისა და არაუმეტეს 1 კალენდარული წლისა;
21. რექტორის გადაწყვეტილებით დასაქმებული, „გიმნაზიის“ საჭიროებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოძახებულ იქნას შვებულებიდან, დასაქმებულს მიეცემა დანამტი ხელფასის სახით ნამუშევარი დღეების მიხედვით;
22. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შვებულების შესახებ რექტორის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს/ბრძანებას;
23. „დასაქმებული“ შეიძლება გაშვებულ იქნას მივლინებაში „გიმნაზიის“ ინტერესებიდან გამომდინარე, სამუშაოს მოცულობის მიხედვით განსაზღვრული დღეებით, რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის/ბრძანების შესაბამისად;
24. მივლინება არის დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლა, სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე;
25. რექტორის მიერ მუშაკის მივლინებაში გაგზავნა არ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად, თუ მივლინების პერიოდი არ აღემატება წელიწადში 45 კალენდარულ დღეს;
26. მივლინებაში ყოფნის პერიოდი ანაზღაურებადია და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება სამივლინებო ბარათის წარმოდგენის შემდეგ, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

მუხლი 8. შრომის ანაზღაურების გაცემის პირობები

1. შრომის ანაზღაურების გაცემა ხორციელდება „დამსაქმებელსა“ და „დასაქმებულს“ შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულების შესაბამისად და გაცემა ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით, კვირული დატვირთვისა და საშტატო განრიგის შესაბამისად არაუგვიანეს მიმდინარე თვის 25 რიცხვიდან მომდევნო თვის 05 რიცხვამდე;
2. შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით/მომსახურების ხელშეკრულებით, რექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტით ან/და საშტატო განრიგის თანამდებობრივი სარგოს მიხედვით;
3. გიმნაზია არ არის პასუხისმგებელი საბანკო სისტემებში წარმოქმნილი მიზეზებით შრომის ანაზღაურების გაცემის შეფერხებებზე და ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე.

მუხლი 9. განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, ადმინისტრაციული ზომები/სახდელეები

1. განცხადების/საჩივრის განხილვა „გიმნაზიაში“ ხორციელდება განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
2. განცხადების/საჩივრის განხილვა, შინაარსიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში ხდება რექტორის ბრძანებით აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებით შექმნილი კომისიის შემადგენლობის დასკვნის საფუძველზე;
3. ადმინისტრაციული ზომების/სახდელის შესახებ, „გიმნაზიაში“ დასაქმებულთა მიმართ, გადაწყვეტილებას იღებს რექტორი აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით, ეს უკანასკნელი კი მენეჯერებისა და სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერისა და სხვა მენეჯერთა წარდგინებით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დარღვევის სიმძიმის საკითხი;
4. ადმინისტრაციული ზომის/სახდელის „დასაქმებულის“ მიმართ გამოყენებამდე, შრომის დისციპლინის დამრღვევ პირს მოეთხოვება ახსნა-განმარტება დარღვევის ფაქტზე; (ადმინისტრაციული ზომების/სახდელის შესახებ დანართი ერთვის „გიმნაზიის“ დებულებას);
5. ადმინისტრაციული ზომა/სახდელი „დასაქმებულის“ მიმართ გამოიყენება გადაცდომის გამოვლენის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, რა დროსაც დამრღვევი პირის მიმართ არ გამოიყენება წახალისებები.

მუხლი 10. შრომის დისციპლინა

1. შრომის დისციპლინა „გიმნაზიაში“ რეგულირდება შინაგანაწესით, დებულებით, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ქცევის კოდექსებით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
2. „გიმნაზიაში“ თანამშრომლის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად, არა კეთილსინდისიერად შესრულების, შრომის დისციპლინის, ეთიკის ნორმების დარღვევისა და საქმისადმი უპასუხისმგებლო მიდგომისათვის რექტორი ლეგალურად

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

ადმინისტრაციულ ზომებს, ხოლო მოსწავლის/სტუდენტის მიმართ იყენებს დისციპლინურ სახდელებს, კერძოდ:

- ა) გაფრთხილება ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით;
 - ბ) საყვედური;
 - გ) სასტიკი საყვედური;
 - დ) ხელფასის დაქვითვა, არაუმეტეს დარიცხული ხელფასის 10%-ის;
 - ე) სამსახურიდან განთავისუფლება;
3. შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი ადმინისტრაციული ზომა;
4. სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად, არაკეთილსინდისიერად შესრულების საშემსრულებლო დისციპლინის, ეთიკის ნორმების დარღვევად მიიჩნევა:
- ა) რექტორატის, დირექტორატის წევრთათვის ან/და დასაქმებული პერსონალისათვის სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;
 - ბ) მოსწავლის მიმართ არაობიექტური დამოკიდებულება;
 - გ) მოსწავლის მიმართ არაეთიკური, შეურაცხმყოფელი მიმართვის გამოყენება;
 - დ) სამსახურის არასაპატიო მიზეზით გაცდენა ან/და მრავლობითი დაგვიანება;
 - ე) „გიმნაზიისათვის“ საჭირო ინფორმაციის, მათ შორის პირადი მონაცემების არასწორი მიწოდება ან/და დასაქმებულთა პირადი ინფორმაციის ბოროტად გამოყენება, გასაჯაროება;
 - ვ) „გიმნაზიის“ პრესტიჟისა და ავტორიტეტის შელახვა;
 - ზ) სამუშაო საათების პერიოდში თრობის ქვეშ ან/და ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ყოფნა/მოხმარება/გამოცხადება;
 - თ) საზოგადოებაში აღიარებული ზნეობრივი ნორმების დარღვევა;
 - ი) „გიმნაზიის“ თანამშრომელს ეკრძალება თამბაქოს მოხმარება გიმნაზიის ეზოსა და სასწავლო კორპუსების ტერიტორიაზე, საგაკვეთილო პროცესის დროს მობილურის გამოყენება;
5. წინამდებარე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დადასტურება/დადგენის შემთხვევაში მუშაკი დაუყოვნებლივ თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან;
6. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის „გიმნაზია“ უფლებამოსილია დასაქმებულთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიმართ გამოიყენოს ადმინისტრაციული ზომები ან/და დისციპლინარული სახდელები;
7. დაუშვებელია:
- ა) მასწავლებლის ან/და მოსწავლის მოცდენა მეცადინეობისაგან ისეთი სახის სამუშაოებისათვის, რომელიც არ არის დაკავშირებული სასწავლო პროცესთან;
 - ბ) საგაკვეთილო პროცესის დროს სხდომების, კრებების ან/და სხვა თათბირების მოწვევა საზოგადოებრივი საქმეების გამო, გარდა ფორსმაჟორული ვითარებისა;
 - გ) მასწავლებლის/მოსწავლის საგაკვეთილო პროცესიდან გამოყვანა პირადი ინტერესებისათვის;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- დ)მასწავლებლისათვის მოსწვლის თანდასწრებით ან/და საგაკვეთილო პროცესის დროს რაიმე სახის შენიშვნის მიცემა;
- ე)მოსწავლეთა კოლექტიური უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება და მოსწავლის პირადი ნივთების შემოწმება დასაშვებია მხოლოდ „გიმნაზიის“ რექტორის/ადმასრულებელი დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ;
- ვ) უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება განახორციელოს „ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ (ბრძანება #83/2; 21.12.2021წ.) მე-20 მუხლის „მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონა, ასევე იმ საგნის ქონა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის ქონა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად 1-16 პუნქტების დაცვით;
- ზ)საგაკვეთილო პროცესის დროს კონკრეტული საგნის მასწავლებლის გარდა, სხვა პირის შესვლა დაუშვებელია სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერთან შეუთანხმებლად;
- თ)საგაკვეთილო პროცესის დაწყების შემდეგ საკლასო ოთახში შესვლა შეუძლია მხოლოდ რექტორატისა და დირექტორატის წარმომადგენელს.

მუხლი 11. მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის უფლება-მოვალეობები და დისციპლინური კომიტეტისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის წესი

1. მოსწავლეს უფლება აქვს:

- ა)მიიღოს ზოგადი - დაწყებითი, საბაზო, საშუალო განათლება სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში და სტანდარტ ზევით;
- ბ)ჰქონდეს და გამოხატოს საკუთარი აზრი, დაცულ იქნას ყოველგვარი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისაგან;
- გ)მიიღოს ინფორმაცია მასწავლებლებისაგან ინდივიდუალურად საკუთარი აკადემიური მოსწრების შესახებ;
- დ)მიმართოს დირექტორატს და დისციპლინურ კომიტეტს შესაძლო კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად/გადასაწყვეტად;
- ე)აირჩიოს და არჩეულ იქნას მოსწავლეთა თვითმმართველობაში;
- ვ)დირექტორატს/პედსაბჭოს წარუდგინოს გონივრულად მოფიქრებული საკითხი განსახილველად, გამოხატოს თავისი შეხედულებები სხვა პირთა უფლებების შელახვის გარეშე;

ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

ზ) ისარგებლოს „გიმნაზიის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით, კომპიუტერული კლასკაბინეტებით, სასწავლო რესურსებით, ბიბლიოთეკით/წიგნადი ფონდით, სპორტული დარბაზით, სამედიცინო ოთახით;

თ) თვითდაფინანსებით ან/და თანადაფინანსებით მონაწილეობა მიიღოს ფასიან საგნობრივ ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და პროექტებში.

ი) მოსწავლეს საგნობრივ ოლიმპიადებში, კონკურსებში, კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობისათვის გაცდენილი დღე/დღეები ჩაეთვლება საპატიოდ.

2. მოსწავლე ვალდებულია:

ა) დაიცვას მოსწავლის ქცევის კოდექსი, რომელიც ხელს უწყობს მას საკუთარი ქცევების მართვაში, დისციპლინის, ურთიერთპატივისცემის, „გიმნაზიაში“ კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემოს დამკვიდრებაში;

ბ) გიმნაზიაში გამოცხადდეს უნიფორმით დაუგვიანებლად, გაკვეთილის დაწყებამდე 15 წუთით ადრე;

გ) დაესწროს ყველა გაკვეთილს საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად;

დ) წარუდგინოს კლასის დამრიგებელს წერილობითი ახსნა-განმარტება, ერთი გაკვეთილის გაცდენის შემთხვევაშიც კი;

ე) გიმნაზიის დაცვის სამსახურში განსაზღვრულ ადგილზე დატოვოს მობილური ტელეფონი და დაიბრუნოს/წაიღოს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, სახლში წასვლისას;

ვ) პატივისცემით მოეპყრას თანაკლასელებს/გოგონებს, იყოს თავაზიანი (ვაჟმა გზა დაუთმონ გოგონებს და უფროსებს), არ დაუშვას თანაკლასელებთან და თანატოლებთან კონფლიქტი;

ზ) მიესალმოს შეხვედრისას გიმნაზიის თანამშრომლებს, მშობლებს;

თ) პატივისცემით მოეპყრას ტექნიკური პერსონალის შრომას, მკაცრად დაიცვას წესრიგი და უსაფრთხოების წესები, სისუფთავე და გაუფრთხილდეს „გიმნაზიის“ ინვენტარს, ეკონომიურად ხარჯოს წყალი, ელენერგია, სადუზინფექციო ხსნარი გამოიყენოს მიზნობრივად;

ი) იქონიოს საჭირო სასწავლო ნივთები საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად;

კ) იყოს თავაზიანი და თავი შეიკავოს ცილისმწამებლური ან/და დამცინავი განცხადებებისაგან;

ლ) სასადილოში დაიცვას სისუფთავე, ქცევის წესები, თავი შეიკავოს საუბრისაგან, სადილის დამთავრების შემდეგ უზრუნველყოს მაგიდის გადასუფთავება და ჭურჭლის სამზარეულოში დაბრუნება;

მ) მოსწავლე ვალდებულია იცოდეს, რომ მის მიერ „გიმნაზიისათვის“ მიყენებულ მატერიალურ ზარალს აანაზღაურებს მშობელი/მშობლის კანონიერი წარმომადგენელი;

ნ) მოსწავლის არასაპატიო მიზეზით გაცდენილი საათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სემესტრში ერთ საგანში საათების რაოდენობის 1/3, ასეთის

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- შემთხვევაში მოსწავლე აბარებს ექსტერნატის გამოცდებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
- ო) გაუფრთხილდეს და დააბრუნოს ყველა ის ნივთი (სახელმძღვანელო და სხვა), რომელსაც სკოლა მას დროებითი სარგებლობისათვის გადასცემს, ხოლო ნივთის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, ზარალი ანაზღაურდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ;
- პ) ყველგან და ყოველთვის დაიცვას „გიმნაზიის“ იმიჯი.

3. მოსწავლეს ეკრძალება:

- ა) „გიმნაზიაში“ უნიფორმის გარეშე, სხვადასხვა სამშვენისებით, მაკიაჟით, გრძელი ან/და ლაქწასმული ფრჩხილებით, ტატუირებით გამოცხადება;
 - ბ) საგაკვეთილო პროცესზე დაგვიანებით გამოცხადება;
 - გ) გაკვეთილის/გაკვეთილების გაცდენა;
 - დ) სასწავლო/საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლისათვის ხელის შეშლა;
 - ე) მასწავლებელზე ან/და მოსწავლეზე ემოციური და ფსიქოლოგიური ზეწოლის მცდელობა, დემაგოგია;
 - ვ) „გიმნაზიის“ სასწავლო რესურსების, აღჭურვილობის - ხელსაწყოების, დაზგების, მუსიკალური ინსტრუმენტის თვითნებურად, დაუდევრად სარგებლობა/გამოყენება;
 - ზ) ყვირილი, დასვენებაზე ჭიდაობა, ჩხუბი, უცენზური გამონათქვამები, სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;
 - თ) „გიმნაზიის“ ქონების გაფუჭება/დაზიანება, საკლასო ოთახების, დერეფნებისა და ეზოს ტერიტორიის დანაგვიანება, სხვისი ქონების მითვისება/მოპარვა;
 - ი) „გიმნაზიაში“ ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა;
 - კ) კლასის დამრიგებლის ნებართვის გარეშე გაკვეთილების დატოვება ან/და შესვენებაზე გიმნაზიის სასწავლო კორპუსისა და ეზოს ტერიტორიის დატოვება;
 - ლ) საგაკვეთილო პროცესზე საღეჭი რეზინის, მზესუმზირის შემოტანა- მოხმარება;
 - მ) თამბაქოს მოხმარება, ნარკოტიკული, ალკოჰოლური და ნაკლებად ალკოჰოლური საშუალებების შემოტანა/მოხმარება ან/და თრობის ქვეშ ყოფნა;
 - ნ) „გიმნაზიაში“ მობილური ტელეფონის, ვიდეო/აუდიო ჩანაწერებისა და ასაფეთქებლების, ე.წ. „ხლოპუშკების“ შემოტანა/გამოყენება, ასეთის შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილია მოსწავლის მშობელს, სკოლის სასარგებლოდ, დააკისროს საურავი 10 ლარის ოდენობით;
 - ო) აკრძალვების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში მოსწავლეს უწესდება დისციპლინური სახდელები;
4. დისციპლინური დარღვევებისათვის მოსწავლეს ეკისრება პასუხისმგებლობა;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

5. პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია მოსწავლის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური სახდელის შესაბამისი ფორმა შინაგანაწესით დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით;
6. დისციპლინური დევნისას „გიმნაზია“ ვალდებულია განუმარტოს მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს მოსწავლის მიერ ჩადენილი გადაცდომის არსი;
7. დისციპლინური სახდელება:
 - ა) გაფრთხილება ან/და შენიშვნა;
 - ბ) საჯაროდ ბოდიშის მოხდა;
 - გ) საყვედური;
 - დ) გაკვეთილიდან გაძევება;
 - ე) სასტიკი საყვედური;
 - ვ) „გიმნაზიისათვის“ სასარგებლო სამუშაოს შესრულება;
 - ზ) „გიმნაზიიდან“ დროებით დათხოვნა ან/და გარიცხვა;
 - თ) სასკოლო წრეებში, კლასგარეშე ღინისძიებებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა.
8. მოსწავლეს გაფრთხილება შეიძლება მიეცეს:
 - ა) გაკვეთილზე ან/და დასვენებაზე დისციპლინის დარღვევისათვის;
 - ბ) უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის;
 - გ) პიროვნების სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის;
 - დ) ორი ან მეტი დაგვიანებისათვის ან/და გაკვეთილის უმიზეზოდ გაცდენისთვის;
 - ე) „გიმნაზიის“ კუთვნილი ქონების დაზიანებისათვის;
 - ვ) საგაკვეთილო პროცესზე ან/და საკონფერენციო დარბაზში მობილურის შემოტანა-გამოყენებისათვის;
9. საყვედური შეიძლება გამოეცხადოს:
 - ა) სამი გაფრთხილების მიღების შემდეგ შინაგანაწესის განმეორებით დარღვევისას;
 - ბ) გაკვეთილზე ან/და დასვენებაზე დისციპლინის განმეორებით დარღვევისათვის;
 - გ) უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევისათვის, საყვედურის მიღების შემდეგ;
 - დ) პიროვნების სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ან/და მორალური ზიანის მიყენებისათვის;
 - ე) ხუთი ან მეტი დაგვიანებისათვის, ან ერთზე მეტი გაკვეთილის არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის;
 - ვ) ასაფეთქებელი ნივთიერებების ე.წ. „ხლოპუმკების“ შემოტანა/გამოყენებისათვის;
 - თ) სხვისი ნივთის მითვისება/მოპარვისთვის;
10. სასტიკი საყვედური შეიძლება გამოეცხადოს:
 - ა) გაფრთხილებისა და საყვედურის ან ორი საყვედურის მიღებისას;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- ბ) დისციპლინის უხეში დარღვევისთვის;
- გ) ათზე მეტი გაკვეთილის არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის;
- დ) პიროვნების ფიზიკური შეურაცხყოფისათვის;
- ე) სისტემატურად სწავლისადმი ზერელე დამოკიდებულებისათვის.

11. ჩაშლის მცდელობისათვის გაკვეთილიდან გამევეებული მოსწავლე, საგნის მასწავლებლის მიერ იგზავნება სასწავლო პროცესების მენეჯერთან მიღებული გადაწყვეტილებით მოსწავლე კონკრეტული გაკვეთილის დასრულებამდე რჩება არის ბიბლიოთეკაში ან/და სარეაბილიტაციო კლასში, სადაც ამზადებს მომდევნო დღის გაკვეთილებს. (მასზე მეთვალყურეობა ევალება კლასის დამრიგებელს ან/და ბიბლიოთეკარს);
12. გაკვეთილიდან გამევეებული მოსწავლის მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში, გაკვეთილიდან გამევეება ჩაითვლება არასაპატიო გაცდენად და აღნიშნულის შესახებ ეცნობება მშობელს და დისციპლინურ კომიტეტს.
13. მოსწავლის მიმართ შესაძლებელია ასევე, გამოყენებულ იქნას ისეთი დისციპლინური სახდელები, როგორცაა:
 - ა) „გიმნაზიისათვის“ სასარგებლო შრომა;
 - ბ) „გიმნაზიიდან“ დროებითი დათხოვნა;
 - გ) „გიმნაზიიდან“ გარიცხვა.
14. „გიმნაზიისათვის“ სასარგებლო სამუშაოს შესრულება გულისხმობს – ეზოს, საკლასო ოთახის, ბიბლიოთეკის ან შენობის რომელიმე მონაკვეთის მოვლა-პატრონობაში მონაწილეობას არასაგაკვეთილო პერიოდში – გაკვეთილების დაწყებამდე ან გაკვეთილების შემდეგ. აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო პროცესების მენეჯერი აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებით;
15. მოსწავლის „გიმნაზიიდან“ 5 დღით დათხოვნა მოხდება, თუ:
 - ა) მოსწავლე სკოლის ტერიტორიაზე ან/და შენობაში შენიშვნის მიცემის შემდეგ განაგრძობს თამბაქოს მოწევას;
 - ბ) მიღებული აქვს გაფრთხილება ან/და საყვედური;
 - გ) განაგრძობს დისციპლინის უხეშ დარღვევას გაკვეთილზე ან/და გაკვეთილის ჩაშლის მცდელობას;
 - დ) სისტემატურად არასაპატიო მიზეზით აცდენს გაკვეთილებს;
 - ე) აბულინგებს და უხეშად ეპყრობა თანატოლებს
16. მოსწავლის გიმნაზიიდან 10 დღით დათხოვნა მოხდება, თუ:
 - ა) მოსწავლე სასწავლო წლის განმავლობაში 5 დღით უკვე დათხოვნილი იყო გიმნაზიიდან და კვლავ განაგრძობს მე-15 პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევებს;
17. მოსწავლის საგაკვეთილო პროცესიდან 5 დღით დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს რექტორს აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებით, 10 დღით დათხოვნის ან „გიმნაზიიდან“ გარიცხვისა – რექტორს დისციპლინურ კომიტეტზე ფარული კენჭისყრით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე;
18. სახდელის განსაკუთრებული ფორმა – „გიმნაზიიდან“ გარიცხვა;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

19. „გიმნაზიიდან“ გარიცხვა დასაშვებია თუ მოსწავლე:
- ა)სასტიკი საყვედურის მიღების შემდეგ ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რაც იმსახურებს დისციპლინურ სახდელს;
 - ბ)სისტემატურად უხეშად არღვევს დისციპლინას;
 - გ)სისტემატურად აცდენს გაკვეთილებს არასაპატიო მიზეზით;
 - დ)მასწავლებელს მიაყენებს შეურაცხყოფას ან/და დაემუქრება მას რაიმე ფორმით;
 - ე)მოსწავლეს მიაყენებს უხეშ ფიზიკურ შეურაცხყოფას ან/და დაემუქრება მას რაიმე ფორმით;
 - ვ)„გიმნაზიაში“ გამოცხადდება თრობის ან/და ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ;
 - ზ)„გიმნაზიას“ მიაყენებს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს;
 - თ)მოსწავლეს, „გიმნაზიიდან“ გარიცხვის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის თანხა უკან არ დაუბრუნდება.
20. დისციპლინური გადაცდომის ყველა შემთხვევაში მოსწავლეს ჩამოერთმევა სასკოლო წრეებში, „გიმნაზიის“ მიერ გამართულ კლასგარეშე ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება;
21. სახდელის მოქმედების ვადას ადგენს დისციპლინური კომიტეტი არუმეტეს 10 დღისა;
22. საჩივარი არ განიხილება, თუკი მასში არ არის მითითებული შემდეგი რეკვიზიტები:
- ა)განმცხადებლის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის მითითებით;
 - ბ)უფლების დარღვევის არსი;
 - გ)მოთხოვნის არსი.
23. დისციპლინური გადაცდომების საქმეებს, კერძოდ „გიმნაზიისათვის“ სასარგებლო შრომა, გიმნაზიიდან დროებითი დათხოვნა, გიმნაზიიდან გარიცხვა - განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც 3 წლის ვადით აირჩევა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე თანაბარი რაოდენობის - მასწავლებელი, მოსწავლე (საბაზო და საშუალო საფეხური) და მშობელი - შემადგენლობით;
24. უფლების დარღვევის შესახებ მიღებული ინფორმაციის შემდეგ მასწავლებელსა და მშობელს უფლება აქვთ წერილობითი საჩივრით მიმართონ „გიმნაზიის“ დირექტორატს ორი კვირის განმავლობაში;
25. საჩივარი განიხილება მისი შეტანიდან ორი კვირის ვადაში და მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს;
26. „გიმნაზიის“ მოსწავლის მშობელს/მშობლის კანონისმიერ წარმომადგენელს უფლება აქვს:
- ა)მოითხოვოს და მიიღოს ყველა ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი შვილის აკადემიურო მოსწრების საკითხებს;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

ბ) „გიმნაზიაში“ საგანმანათლებლო მომსახურების საფასური/სწავლის დაფაროს ეტაპობრივად, პირველი და მეორე სემესტრის დასრულებამდე ან/და მთლიანად სასწავლო დღის დაწყებისთანავე.

27. მოსწავლის მშობელი/მშობლის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია:

ა) დაიცვას „გიმნაზიის“ შენაგანაწესი;

ბ) სასწავლო წლის დაწყებისთანავე გააფორმოს ხელშეკრულება საგანმანათლებლო და სხვა/დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებაზე;

გ) ითანამშრომლოს მასწავლებლებთან, „გიმნაზიის“ დირექციასა და ადმინისტრაციასთან;

დ) მასწავლებლის შეტყობინებისთანავე გამოცხადდეს „გიმნაზიაში“;

ე) მოითხოვოს სწავლების მაღალი ხარისხი;

ვ) უზრუნველყოს ხელშეკრულებაში მითითებული მოთხოვნების შესრულება, კერძოდ დროულად გადაიხადოს ხელშეკრულებაში მითითებული საგანმანათლებლო პროგრამის ღირებულება/სწავლის საფასური (ღირებულების ერთი ნაწილი პირველი სემესტრის დასაწყისში, ხოლო მეორე ნაწილი მეორე სემესტრის დასაწყისში ან/და გამონაკლის შემთხვევაში გრაფიკის მიხედვით);

ზ) იზრუნოს „გიმნაზიაში“, შვილის დროულად/დაუგვიანებლად, მოწესრიგებულად ჩანთითა და სასწავლო პროცესისათვის საჭირო ნივთებით გაკვეთილებისათვის მომზადებულად გამოცხადებაზე, რათა თავიდან აიცილოს მოსწავლის მიმართ დისციპლინურ სახდელებში გათვალისწინებული „აკრძალვები“;

თ) არ დაუშვას შვილის მიერ გაკვეთილის არასაკაპტო მიზეზით გაცდენა;

ი) შვილის შესაძლო ავადობის შესახებ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია კლასის დამრიგებელს;

კ) აანაზღაუროს შვილის მიერ „გიმნაზიისათვის“ მიყენებული მატერიალური ზარალი.

მუხლი 12. პედსაბჭოს ფუნქციები, მასწავლებლის უფლებები, მოვალეობები, ვალდებულებები

1. „გიმნაზიის“ პედაგოგიური საბჭო არის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო;
2. პედაგოგიური საბჭო სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება მინიმუმ სამჯერ;
3. პედაგოგიური საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას პედსაბჭოს წევრთა ერთი მესამედის ან/და რექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ „გიმნაზიის“ საჭიროებიდან გამომდინარე;
4. პედაგოგიურ საბჭოზე ხმის უფლებით სარგებლობს ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობენ მოწვეულები;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

5. პედაგოგიურ საბჭოზე დასწრებისა და მონაწილეობის მიღება შეუძლია მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელს;
6. პედსაბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი;
7. საბჭოს წევრთა ერთ მესამედს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს სხდომა, მოითხოვს მათი წარმომადგენლის მოსმენა;
8. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს;
9. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში პედაგოგიური საბჭოს სხდომას წარმართავს პედაგოგიური საბჭოს მდივანი;
10. პედაგოგიურ საბჭოს კომპეტენციის საკითხებზე იქმნება ცალკეული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ პედსაბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე;
11. პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით, არანაკლებ საერთო ხმების ერთი მესამედისა;
12. პედაგოგიური საბჭოს მდივანი აირჩევა ხმათა უმრავლესობით 3 წლის ვადით;
13. პედაგოგიური საბჭოს მდივანი თავმჯდომარესთან ერთად ადგენს სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ჩატარებამდე ახდენს ვებგვერდზე და თვალსაჩინო ადგილზე განთავსებას;
14. პედაგოგიური საბჭოს მდივანი სხდომის მიმდინარეობისას აკეთებს საოქმო ჩანაწერს;
15. პედაგოგიური საბჭოს მდივანი ვალდებულია სხდომის დამთავრებიდან ათი დღის განმავლობაში დაასრულოს ოქმი და დაბეჭდილ ფორმატზე უზრუნველყოს ხელმოწერების დაფიქსირება;

12.1. პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები:

1. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, აღმასრულებელი დირექტორის მონაწილეობით სასკოლო სასწავლო გეგმის შეიმუშავება და პედსაბჭოს სხდომაზე განხილვა შემდგომში რექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
2. საჭიროების შემთხვევაში, აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცება;
3. კათედრის თავმჯდომარეებისა და დამრიგებლების სამუშაო გეგმების განიხილვა და დამტკიცება;
4. პედსაბჭოს წევრებს გააცნოს „გიმნაზიის“ შინაგანაწესი, დებულება, განვითარების ერთწლიანი და გრძელვადიანი გეგმები, პრევენციული ღონისძიებების გეგმა, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების გაცნობა, რომელსაც თავის კომპეტენციის ფარგლებში ამტკიცებს რექტორი;
5. აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებით, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად სასწავლო მასალის/რეურსების, მათ შორის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფინიჭებული, პედაგოგების მიერ

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის დამტკიცება;

6. მასწავლებლის შეფასების ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება;
7. მასწავლებლისათვის დახმარების გაწევა ინდივიდუალურ საჭიროებათა დადგენაში, ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენასა და განხორციელებაში, ასევე მიღწეული შედეგების შეფასებაში.

12.2. მასწავლებლის უფლებები, მოვალეობები, ვალდებულებები

11.2.1. მასწავლებლის უფლებები

- ა) მასწავლებლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, მასწავლებელს უფლება აქვს;
- ბ) ისარგებლოს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით;
- გ) გამოხატოს საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
- დ) ისარგებლოს ანაზღაურებადი, დეკრეტული (დადგენილი წესით) და ანაზღაურების გარეშე შვებულებით, წელიწადში არანაკლებ 15 კალენდარული დღისა და არაუმეტეს 1 წლისა;
- ე) მასწავლებლის საქმიანობის დაწყება, პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისად.

12.2.2. მასწავლებელთა მოვალეობები

- ა) გაეცნოს სკოლის შინაგანაწესს;
- ბ) დაიცვას ეთიკის კოდექსით, „გიმნაზიის“ შინაგანაწესით, დებულებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- გ) დაიცვას შრომისა და სამემსრულებლო დასციპლინა;
- დ) „გიმნაზიაში“ გამოცხადდეს გაკვეთილების დაწყებამდე 15 წუთით ადრე, ხოლო მორიგე მასწავლებლის სტატუსის შემთხვევაში საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე 30 წუთით ადრე;
- ე) იზრუნოს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ხელი შეუწყოს მშობელთა ჩართულობას სასკოლო და სკოლისგარეშე ღონისძიებებში;
- ვ) სასწავლო წლის დასაწყისისათვის მოამზადოს საგნის თემატურ-კალენდარული გეგმა, შემდგომში საგნის/საგნობრივი ჯგუფის კთედრის სხდომაზე განხილვის მიზნით, რომელსაც ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო ზოგადი განათლების მენეჯერის წარდგენის საფუძველზე;
- ზ) განახორციელოს ის ფუნქციები, რაც გათვალისწინებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ხელშეკრულებით და „გიმნაზიის“ რექტორის ინდივიდუალური აქტებით/ბრძანებებით;
- თ) გაკვეთილის დაწყებიდან 1-10 წუთის განმავლობაში მოახდინოს მოსწავლეთა აღრიცხვა და საკლასო/ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირება, დროულად

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- და ხარისხიანად აწარმოოს მოსწავლის პირადი საქმე/სასკოლო დოკუმენტაცია;
- ი) იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, სასწავლო პროცესის განმავლობაში მოსწავლის ჯანმრთელობის პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე;
- კ) დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები, იყოს თავაზიანი, თავი შეიკავოს ცილისმწამებლური ან/და დამცინავი, დემაგოგიური განცხადებებისაგან;
- ლ) მოემზადოს თითოეული გაკვეთილისათვის, ეფექტურად განახორციელოს სასწავლო პროცესი;
- მ) „გიმნაზიის“ სასწავლო პროცესების მენეჯერს, მის მიერ საგაკვეთილო პროცესის მოსალოდნელი გაცდენების შესახებ, აცნობოს გაკვეთილის დაწყებამდე მინიმუმ 30 წუთით ადრე, რათა შესაძლებელი გახდეს მისი ჩანაცვლება სხვა პედაგოგით;
- ნ) იზრუნოს პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე, იყოს კორექტული, დაიცვას და უზრუნველყოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებული მოთხოვნები, ითანამშრომლოს კოლეგებთან, მშობლებთან საგანმანათლებლო სფეროს, სხვადასხვა ორგანიზაციებთან და წარმომადგენლებთან;
- ო) მზრუნველობით, პატივისცემით, პასუხისმგებლობით და სიფრთხილით მიუდგეს მოსწავლეებს, მშობლებს, კოლეგებს, „გიმნაზიაში“ დასაქმებულ პერსონალს;
- პ) გაუფრთხილდეს „გიმნაზიის“ ქონებას, დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, მიზანმიმართულად გამოიყენოს „გიმნაზიის“ სასწავლო რესურსები - ეკომონიურად ხარჯოს ელექტროენერგია, წყალი, სადუზინფექციო ხსნარი;
- ჟ) დაიცვას „გიმნაზიასთან“ დაკავშირებული ინფორმაციის კომფიდენციალობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ქმედება ჩაითვლება „გიმნაზიის“ კონფიდენციალობის დარღვევად, „გიმნაზიის“ რეპუტაციის შელახვის მცდელობად, რაც შესაძლოა გახდეს დავის საგანი;
- რ) იზრუნოს „გიმნაზიის“ იმიჯისათვის;
- ს) განახორციელოს „გიმნაზიის“ წესდებით, შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით და რექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
- ტ) მასწავლებლის კვირეული დატვირთვა და ცვლილებები ახალი სასწავლო წლისათვის განისაზღვრება „გიმნაზიის“ საგნის/საგნობრივი კგუფის კათედრის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი სასკოლო-სასწავლო გეგმით, ტარიფიკაციის შედგენისას მხედველობაში მიიღება მასწავლებლის მიერ წინა სასწავლო წელს მიღებული შედეგები,

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

თითოეული მასწავლებლის კვირეული დატვირთვა, აღმასრულებელი დირექტორის მონაწილეობით განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე, რომელსაც ამტკიცებს რექტორი;

უ) მასწავლებლის სამუშაო საათები იწყება საგაკვეთილო ცხრილის მიხედვით და მთავრდება 16 საათზე.

12.2.3. მასწავლებლის ვალდებულებები

დაუშვებელია

- ა) მოსწავლის, მშობლის/მშობლის კანონიერი წარმომადგენლის, თანამშრომლების, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა;
- ბ) მოსწავლეზე ემოციური და ფსიქოლოგიური ზეწოლა;
- გ) „გიმნაზიის“ ეზოს ტერიტორიასა და სასწავლო კორპუსში თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელის შემოტანა-მოხმარება;
- დ) საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას მობილური ტელეფონით სარგებლობა;
- ე) მოსწავლის პირად ცხოვრებაში ჩარევა;
- ვ) ურთიერთკონფლიქტი, არაკორექტულად საუბარი;
- ზ) „გიმნაზიისათვის“ უნიფორმის გარეშე, ვარცხნილობა, გადაჭარბებული მაკიაჟი;
- თ) საკვეთილზე დაგვიანება ან/და არასაკმაყოფილო მიზეზით გაცდენა;
- კ) პირადი შეხედულებისამებრ, თვითნებურად, სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერთან შეუთანხმებლად სამუშაო გრაფიკის და საგაკვეთილო ცხრილის, საკვეთილებისა და საკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობის შეცვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში „გიმნაზია“ მის მიმართ გაატარებს ადმინისტრაციულ ზომებს, რომელიც ერთვის შინაგანაწესს.

მუხლი 13. მოსწავლეთა თვითმმართველობა

1. „გიმნაზიის“ უფლება აქვს შექმნას მოსწავლეთა თვითმმართველობა;
2. მოსწავლეთა საბაზო და და საშუალო საფეხურების ერთობლიობით არჩეული თვითმმართველობა წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობას, რომელიც შეიმუშავებს დებულებას;
3. „გიმნაზიაში“ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა ხდება, ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეების შემადგენლობიდან, თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერის წარდგინებით, რომელსაც ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო;
4. მოსწავლეთა საბაზო და და საშუალო საფეხურების ერთობლიობით არჩეული თვითმმართველობა წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობას, რომელიც შეიმუშავებს დებულებას;
5. მოსწავლეთა თვითმმართველობა დებულების შესაბამისად:

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- ა) ხელს უწყობს მოსწავლეთა უფლებების დაცვას;
- ბ) უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაციები „გიმნაზიის“ შინაგანაწესის შესახებ;
- გ) უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები „გიმნაზიის“ სტრატეგიული განვითარების, მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;
- დ) წევრთა 1/5 ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს;
- ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, შინაგანაწესით და თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;
- ვ) „გიმნაზიის“ რექტორატს ან/და დირექტორატს უფლება არ აქვს ჩაერიოს მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობაში;
- გ) მოსწავლეთა თვითმმართველობა წარმოადგენს „გიმნაზიის“ სტრუქტურულ ერთეულს;
- ზ) მოსწავლეთა თვითმმართველობას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის მიერ არჩეული თავმჯდომარე;
- თ) მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების დებულებას განიხილავს პედაგოგიური საბჭოს სამუშაო ჯგუფი და ამტკიცებს აღმასრულებელი დირექტორი;
- ი) მოსწავლეთა თვითმმართველობაში შეიძლება არჩეულ იქნას თითოეული საფეხურიდან მინიმუმ სამი მოსწავლე.

6. მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციები:

- ა) „გიმნაზიის“ შინაგანაწესის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;
- ბ) უფლებამოსილია პედაგოგიურ საბჭოს წარუდგინოს წინადადებები „გიმნაზიისათვის“ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით;
- გ) თვითმმართველობის მიერ არჩეული წარმომადგენლის პედაგოგიურ საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით წარდგენა;
- დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობის მიღება მოპოვებული გრანტის განკარგვაში.

თავი III. სასკოლო სასწავლო გეგმა

მუხლი 14. სასკოლო გეგმის შემუშავება და მიღება

1. სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმა და სკოლის მისიას. ყოველი ახალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა განიხილება „გიმნაზიის“ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე სწავლის დაწყებამდე რექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის მონაწილეობით და მტკიცდება რექტორის ბრძანებით;
2. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება-დამტკიცება ხორციელდება ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღისა;
4. სკოლაში საგანმანათლებლო მომსახურება ხორციელდება ქართულ ენაზე;
5. სასკოლო სასწავლო გეგმის მიზანია სასწავლო პროცესის ხრისხიანად წარმართვა.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

6. სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება მოსწავლის, როგორც პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საუკეთესო (კონსტრუქტივისტულ) საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს 5 ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპს, რომელსაც ეყრდნობა სწავლა-სწავლების პროცესი. სკოლაში სწავლა-სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას/შექმნას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას, სწავლის სწავლას/სწავლის სტრატეგიების დაუფლებას;

7. სასკოლო სასწავლო გეგმაში დაზუსტებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული დატვირთვა აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში, განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურება. აგრეთვე, გიმნაზიაში მიმდინარე სასწავლო შემეცნებითი ღონისძიებები.

შენიშვნა: სასკოლო სასწავლო გეგმა დეტალურად წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

მუხლი 15. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილები

სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებია:

- ✓ სკოლის მისია, ხედვა, მიზანი;
- ✓ სკოლის საათობრივი ბადე;
- ✓ გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;
- ✓ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისათვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისათვის და სხვა);
- ✓ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
- ✓ ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა;
- ✓ IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი (IX კლასში - 8 გაკვეთილი, XI კლასში - 4 გაკვეთილი). ასევე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი: მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და შესაძლო დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების განრიგი;
- ✓ დამხმარე ლიტერატურისა და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, კლასების, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- ✓ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლეთათვის, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
- ✓ დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა;
- ✓ სასწავლო წლის კალენდარი;
- ✓ კათედრები.

მუხლი 16. გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვა

1. „გიმნაზიაში“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, „გიმნაზიაში“ ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი;
2. „გიმნაზიაში“ ბავშვის მისაღებად მშობელმა/მშობლის კანონიერმა წარმომადგენელმა (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით იურიდიულად უფლებამოსილი პირი) უნდა წარმოადგინოს:
 - ა) განცხადება რექტორის სახელზე - სასწავლო წლის დაწყებამდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში;
 - ბ) დაბადების მოწმობის ასლი ნოტარიულად დამოწმებული, რომელზეც მითითებული უნდა იყოს სამოქალაქო რეესტრის მიერ მინიჭებული პირადი ნომერი;
 - გ) ორი ფოტოსურათი - ზომით 3x4 და CD;
 - დ) ჯამრთელობის ცნობა გადატანილი ინფექციური დაავადების მითითებით;
 - ე) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;
 - ვ) მშობლის კანონიერი წარმომადგენლის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იურიდიულად უფლებამოსილი პირის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - ზ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დოკუმენტი მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.
3. სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის შემთხვევაში, მოსწავლის შესაბამის კლასში ჩასარიცხად, მშობელმა/მშობლის კანონიერმა პირმა უნდა წარმოადგინოს:
 - ა) განცხადება რექტორის სახელზე;
 - ბ) გამომგზავნი სკოლა ვალდებულია საქართველოს ფოსტის მეშვეობით გადმოაგზავნოს მოსწავლის სრულყოფილი პირადი საქმე;
 - გ) შეფასება (მიმდინარე/საბოლოო) აკადემიური მოსწრების პედაგოგიური დაკვირვების შედეგი, კომენტარები და ინფორმაცია გაცდენებზე;
 - დ) „გიმნაზიას“ შეუძლია მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვაზე მშობელს უარი უთხრას, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის მიერ შინაგანაწესითა და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული რაოდენობა შევსებულია;
4. მოსწავლის გიმნაზიაში ჩარიცხვამდე გიმნაზია, ჩასარიცხი მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის თავსებადობის დადგენის მიზნით, ჩასარიცხ მოსწავლეს დაწყებით (I-IV) კლასებში უტარებს გასაუბრებას, ხოლო დანარჩენ (V-XI)

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

კლასებში გამოცდას/გამოცდებს. ეს პროცედურა გიმნაზიას საშუალებას აძლევს, დაადგინოს მოსწავლის მიერ საგნის/საგნების სტანდარტის შედეგების დაფარვის დონე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მოსწავლისათვის ინდივიდუალური ან/და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედგენა კლასისა და საგნის გათვალისწინებით სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით;

5. მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხორციელდება რექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის/ბრძანების საფუძველზე;
6. პირველ კლასში ჩარიცხულ ყველა მოსწავლეზე იხსნება პირადი საქმე, რომელსაც ენიჭება ნომერი მოსწავლის ანბანური ჩანაწერის წიგნის მიხედვით;
7. „გიმნაზიაში“ ჩარიცხვის შემთხვევაში, დირექცია მოსწავლესა და მშობელს/მშობლის კანონიერ წარმომადგენელს აცნობს შინაგანაწესს;
8. „გიმნაზიის“ თითოეულ კლასში მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობაა - 12, მაქსიმალური - 25;
9. კლასიდან კლასში გადასაყვანად ერთი საგნის დაძლევის მინიმალური ბარიერია 5,0 ქულა და მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლეს ეძლევა საშემოდგომო გამოცდა წინასწარ შედგენილი, აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, რომელსაც ჩააბარებს საგნის პედაგოგის მიერ მიცემული დავალების საფუძველზე;
10. მოსწავლე „გიმნაზიაში“ სხვა სკოლიდან მიიღება პირობითი ვადით, თუ მისი შეფასება ცალკეულ საგანში არის 5,0 ქულა, რომელიც უნდა გააუმჯობესოს „გიმნაზიაში“ გადმოსვლიდან მომდევნო სემესტრში და უნდა იყოს 5,0 ქულა და მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მშობელს/კანონისმიერ წარმომადგენელს ეძლევა რეკომენდაცია გადაიყვანოს მისთვის სასურველს სხვა სკოლაში.

მუხლი 17. კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებში V-XI კლასებში კონკრეტული საგნის დაძლევის მინიმალური ბარიერია 5.0 და მეტი ქულა, საფეხურიდან საფეხურზე გადასასვლელი მინიმალური ბარიერია 5,0 ქულა და მეტი.
 - ა) დაწყებითი საფეხურის დაძლევისას, მოსწავლე სწავლას განაგრძობს საბაზო საფეხურზე;
 - ბ) საბაზო საფეხურის დაძლევისას მოსწავლეს შეუძლია სწავლა განაგრძოს საშუალო საფეხურზე ან/და მიიღოს საბაზო განათლების ატესტატი სკოლიდან გასვლის შემთხვევაში (მოსწავლის მოთხოვნის საფუძველზე), საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა;
 - გ) საშუალო საფეხურის დაძლევისას მოსწავლეს შეუძლია ატესტატის მიღება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად;
 - დ) საბაზო და საშუალო განათლების ატესტატები გაიცემა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დადგენილი წესით.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

2. კლასიდან კლასში გადასაყვანად ერთი საგნის დაძლევის მინიმალური ბარიერია 5.0 ქულა და მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლეს ეძლევა საშემოდგომო გამოცდა წინასწარ შედგენილი, დირექტორის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, რომელსაც ჩააბარებს საგნის პედაგოგის მიერ მიცემული დავალების საფუძველზე;
3. მოსწავლეთა კლასიდან კლასში, საფეხურიდან საფეხურზე გადაყვანისა და საფეხურის დაძლევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პედაგოგიური საბჭო სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, რის შესახებაც გამოიციმა დირექტორის ბრძანება;
4. საშემოდგომო გამოცდის ნიშანი იძენს საგნის წლიური ნიშნის სტატუსს;
5. მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
6. „გიმნაზია“ უფლებამოსილია ჩაატაროს დამატებითი სავალდებულო ტესტირება კომპონენტისათვის შემაჯამებელი/კომპლექსური დავალება.

თავი IV. „გიმნაზიის“ ურთიერთობა სასკოლო საზოგადოებასთან

მუხლი 18. „გიმნაზიასა“ და მოსწავლის მშობლის/მშობლის კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობა

1. „გიმნაზია“ ზრუნავს მოსწავლის, მშობლის/მშობლის კანონიერ წარმომადგენელს შორის თანამშრომლობასა და საქმიან ურთიერთობაზე, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაზე;
2. მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ დირექტორატის მიერ ორგანიზებული კლასგარეშე, სასწავლო პროცესისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებზე;

თავი VI. „გიმნაზიის“ რექტორატი და დირექტორატი

მუხლი 19. „გიმნაზიის“ რექტორატის და ადმინისტრაციის უფლება მოვალეობანი

1. გიმნაზიის“ რექტორატი და ადმინისტრაცია ორიენტირებულია „გიმნაზიაში“ სასწავლო პროცესის, სასკოლო და კლასგარეშე ღონისძიებების მაღალი ხარისხით განხორციელების ორგანიზებაზე, რისთვისაც:
 - ა) თანამშრომლობს „გიმნაზიის“ მასწავლებლებთან, მოსწავლეთა მშობლებთან/ მშობლის კანონიერ წარმომადგენელთან, დასაქმებულ პერსონალთან და აწყობს მათთან ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ შეხვედრებს;
 - ბ) უზრუნველყოფს სასკოლო დისციპლინის დაცვას ისეთი ხერხებით და მეთოდებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოსწავლის, მასწავლებლის, მოსწავლის მშობლის და „გიმნაზიაში“ დასაქმებულთა თავისუფლებისა და ღირსების დაცვას, პატივისცემას;
 - გ) ზრუნავს „გიმნაზიაში“ უსაფრთხო ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი, პოზიტიური სასწავლო/სამუშაო გარემოს შექმნისათვის, ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეებს (ასეთის შემთხვევაში) განათლების მიღებას;
 - დ) განსაზღვრავს „გიმნაზიის“ განვითარების პოლიტიკას და სტრატეგიას;
 - ე) ხელს უწყობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების - წესდება, შინაგანაწესი, დებულება და სხვა დაცვას;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

ვ)ზრუნავს სასკოლო საზოგადოებასთან ჰარმონიული, უკონფლიქტო გარემოს ფორმირებაზე;

ზ)„გიმნაზიაში“ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების მიზნით, რელევანტური წესით, ატარებს გამოკითხვებს (მოსწავლეთა, მასწავლებელთა, დამრიგებელთა, მშობელთა) შემდგომში მათ მიერ გამოხატული, „გიმნაზიისათვის“ მისაღები აზრის/წინადადებების გასათვალისწინებად და შედეგები გამოიყენება შიდა ხარისხის მექანიზმების გასაუმჯობესებლად;

თ)სასწავლო პროცესის დაწყებამდე, დააწესოს მასწავლებლების მორიგეობა, მორიგეობის გრაფიკს ადგენს სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი და ამტკიცებს აღმასრულებელი დირექტორი;

ი)„გიმნაზიის“ რექტორატის, დირექტორატისა და ადმინისტრაციის წევრები თანამშრომლობენ და პატივისცემით ეპყრობიან „გიმნაზიაში“ დასაქმებულ პერსონალს, იცავენ მორალურ და ზნეობრივ ნორმებს.

2. „გიმნაზიის“ რექტორატის და ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობანი დეტალურადაა გაწერილი „გიმნაზიის“ დებულებაში.

პედაგოგიური საბჭო

1. „გიმნაზიის“ პედაგოგიური საბჭო არის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო;
2. პედაგოგიური საბჭო სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება მინიმუმ სამჯერ
3. პედაგოგიური საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას პედსაბჭოს წევრთა ერთი მესამედის ან/და რექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ „გიმნაზიის“ საჭიროებიდან გამომდინარე;
4. პედაგოგიურ საბჭოზე ხმის უფლებით სარგებლობს ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობენ მოწვეულები;
5. პედაგოგიურ საბჭოზე დასწრებისა და მონაწილეობის მიღება შეუძლია მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელს;
6. პედსაბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი;
7. საბჭოს წევრთა ერთ მესამედს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს სხდომა, მოითხოვს მათი წარმომადგენლის მოსმენა;
8. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს;
9. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში პედაგოგიური საბჭოს სხდომას წარმართავს პედაგოგიური საბჭოს მდივანი;
10. პედაგოგიურ საბჭოს კომპეტენციის საკითხებზე იქმნება ცალკეული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ პედსაბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე;
11. პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით, არანაკლებ საერთო ხმების ერთი მესამედისა;
12. პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს კათედრების სხდომებზე შერჩეულ და წარდგენილ კათედრის თავმჯდომარეებს;
13. პედაგოგიური საბჭოს მდივანი აირჩევა ხმათა უმრავლესობით 3 წლის ვადით;
14. პედაგოგიური საბჭოს მდივანი თავმჯდომარესთან ერთად ადგენს სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ჩატარებამდე ახდენს ვებგვერდსა და გიმნაზიაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებას;
15. პედაგოგიური საბჭოს მდივანი სხდომის მიმდინარეობისას აკეთებს საოქმო ჩანაწერს საქმისწარმოების წესის დაცვით;
16. პედაგოგიური საბჭოს მდივანი ვალდებულია სხდომის დამთავრებიდან ათი დღის განმავლობაში დაასრულოს ოქმი და დაბეჭდილ ფორმატზე უზრუნველყოს ხელმოწერების დაფიქსირება.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები:

1. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, აღმასრულებელი დირექტორის მონაწილეობით სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება და პედსაბჭოს სხდომაზე განხილვა შემდგომში რექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
2. საჭიროების შემთხვევაში, აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცება;
3. კათედრის თავმჯდომარეებისა და დამრიგებლების სამუშაო გეგმების განხილვა და დამტკიცება;
4. პედსაბჭოს წევრებისათვის „გიმნაზიის“ შინაგანაწესის, დებულების, განვითარების ერთწლიანი და გრძელვადიანი გეგმების, პრევენციული ღონისძიებების გეგმის, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების გაცნობა, რომელსაც თავის კომპეტენციის ფარგლებში ამტკიცებს რექტორი;
5. აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებით, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად სასწავლო მასალის/რეურსების, მათ შორის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის დამტკიცება;
6. მასწავლებლისათვის ინდივიდუალურ საჭიროებათა დადგენაში დახმარების გაწევა;
7. მასწავლებლის შეფასების ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება;
8. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენასა და განხორციელებაში, ასევე მიღწეული შედეგების შეფასებაში დახმარების გაწევა.

მოსწავლეთა თვითმმართველობა

1. „გიმნაზიას“ უფლება აქვს შექმნას მოსწავლეთა თვითმმართველობა;
2. მოსწავლეთა საბაზო და საშუალო საფეხურების ერთობლიობით არჩეული თვითმმართველობა წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობას, რომელიც შეიმუშავებს დებულებას;
3. „გიმნაზიაში“ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა ხდება, ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეების შემადგენლობიდან, თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერის წარდგინებით, რომელსაც ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო;
4. მოსწავლეთა საბაზო და საშუალო საფეხურების ერთობლიობით არჩეული თვითმმართველობა წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობას, რომელიც შეიმუშავებს დებულებას;
5. მოსწავლეთა თვითმმართველობა დებულების შესაბამისად:
 - ა) ხელს უწყობს მოსწავლეთა უფლებების დაცვას;
 - ბ) უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაციები „გიმნაზიის“ შინაგანაწესის შესახებ;
 - გ) უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები „გიმნაზიის“ სტრატეგიული განვითარების, მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;
 - დ) წევრთა 1/5 ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს;
 - ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, შინაგანაწესით და თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებებს;
 - ვ) „გიმნაზიის“ რექტორატს ან/და დირექტორატს უფლება არ აქვს ჩაერიოს მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობაში;
 - გ) მოსწავლეთა თვითმმართველობა წარმოადგენს „გიმნაზიის“ სტრუქტურულ ერთეულს;
 - ზ) მოსწავლეთა თვითმმართველობას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის მიერ არჩეული თავმჯდომარე;
 - თ) მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების დებულებას განიხილავს პედაგოგიური საბჭოს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობის არჩევაც ხდება პედაგოგიურ საბჭოზე და ამტკიცებს ადმინისტრაციული დირექტორი;
 - ი) მოსწავლეთა თვითმმართველობაში შეიძლება არჩეულ იქნას თითოეული საფეხურიდან მინიმუმ სამი მოსწავლე.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციები

1. „გიმნაზიის“ შინაგანაწესის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;
2. უფლებამოსილია პედაგოგიურ საბჭოს წარუდგინოს წინადადებები „გიმნაზიისათვის“ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით;
3. თვითმმართველობის მიერ არჩეული წარმომადგენლის პედაგოგიურ საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით წარდგენა;
საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობის მიღება მოპოვებული გრანტის განკარგვაში.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

შინაგანაწესის დანართი #1

პედაგოგთა მიმართ დისციპლინური დარღვევების ადმინისტრაციული ზომები

„გიმნაზიაში“ შრომის დისციპლინის დარღვევა მუშაკის მიზეზით, მასზე დაკისრებული შრომითი მოვალეობის შეუსრულებლობა ან/და არასათანადო შესრულება იწვევს მასზე (მუშაკზე) ადმინისტრაციული ზომების გატარებას.

1. ადმინისტრაციული ან/და შრომის დისციპლინის დარღვევისათვის „გიმნაზიაში“ გამოიყენება ადმინისტრაციული ზომების შემდეგი სახეები:
 - ა)გაფრთხილება/შენიშვნა ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით;
 - ბ)საყვედური - ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით;
 - გ)სასტიკი საყვედური - ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით;
 - დ)შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა/სამუშაოდან დათხოვნა.
2. ადმინისტრაციულ ან/და შრომის დისციპლინის დარღვევად ითვლება შრომითი ხელშეკრულებით, დებულებით და შინაგანაწესით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა ან/და არასათანადოდ შესრულება;
 - ა)გაკვეთილზე დაგვიანებით შესვლა;
 - ბ)გაკვეთილიდან ზარის დარეკვამდე გამოსვლა;
 - გ)გაკვეთილის გაცდენა ან/და აღმასრულებელ დირექტორთან და სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერთან შეუთანხმებლად, თვითნებურად, პირადი შეხედულებისამებრ სამუშაო გრაფიკის/საგაკვეთილო ცხრილის, გაკვეთილებისა და გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობის შეცვლა/გადაწესება;
 - დ)სასწავლო პროცესის შესაძლო გაცდენის შესახებ შეუტყობინებლობა.
3. შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ადმინისტრაციული ზომების მხოლოდ ერთი პუნქტი;
4. გაცდენად ითვლება სამუშაოზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში ან/და გაკვეთილის გაცდენა, აგრეთვე არაფიზიკურად მდგომარეობაში გამოცხადება;
5. ადმინისტრაციული ზომების დაკისრებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევს მოეთხოვება წერილობითი ახსნა–განმარტება;
6. ადმინისტრაციული ან/და შრომის დისციპლინური დარღვევისათვის ზომების გამოყენებაზე გამოიციმა რექტორის ბრძანება აღმასრულებელი დირექტორის ან/და სასწავლო პროცესების მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის წარდგენის საფუძველზე;
7. მუშაკს, მის მიმართ გამოყენებულ ადმინისტრაციულ ან/და შრომის დისციპლინის დარღვევის შესახებ, ბრძანებას აცნობს განათლების ხარისხის მართვისა და მონაცემთა ბაზების სპეციალისტი, რაც დასტურდება ხელმოწერით;
8. ადმინისტრაციული სახდელი „სამუშაოდან დათხოვნა“ გამოიყენება იმ მუშაკის მიმართ, რომელიც სასტიკი საყვედურის გამოცხადების მიუხედავად, განაგრძობს შრომითი ხელშეკრულებით, დებულებით და შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას, არასაპატიო მიზეზით აცდენს ან/და არ ატარებს გაკვეთილებს.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

შინაგანაწესის დანართი #

**საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიაში
უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის
დაცვის წესი და პირობები**

„საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიაში
უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“
შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
მინისტრის 2019 წლის 01 იანვრის #06/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო
დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და
პირობები“ დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე, რომელიც შინაგანაწესის განუყოფელი
ნაწილია

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. წმინდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (შემდგომში – წესი) ადგენს წმინდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს.
2. ამ წესის მიზანია:
 - ა) ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა ინტერესების გათვალისწინება;
 - ბ) გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
 - გ) გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება;
 - დ) უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;
 - ე) გიმნაზიის დაცვის სამსახურისა და გიმნაზიის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მოქმედებაში ხელშეწყობა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა:
 - ა) **საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის** – ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს გარემოებათა გათვალისწინებით დასკვნის გასაკეთებლად;
 - ბ) **გიმნაზიის ადმინისტრაცია** – გიმნაზიის სამტატო განრიგით გათვალისწინებული პირები (გარდა მასწავლებლისა და დამხმარე ტექნიკური პერსონალის);
 - გ) **გიმნაზიის დირექცია** – გიმნაზიის რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი და გიმნაზიის სტრუქტურით გათვალისწინებული ერთეულები;
 - დ) **გიმნაზიის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო/საგანგებო კომისია** (შემდგომში - საბჭო) - გიმნაზიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საგანგებო კომისია/კოლეგიალური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლა-გიმნაზიის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციის მიცემას;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- გ) **სასკოლო დრო** – სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროცესის, აგრეთვე გიმნაზიის მიერ ინიცირებული, ორგანიზებული, კონტროლირებული, ღონისძიების მიმდინარეობის დრო;
 - ვ) **კანონიერი წარმომადგენელი** – მოსწავლის მშობელი ან/და სხვა კანონიერი წარმომადგენელი, ასევე, მათ მიერ უფლებამოსილი შესაბამისი პირი;
 - ზ) **რესურსცენტრი** – სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
 - თ) **უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება** – იმავე სქესის უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის დათვალიერება მეტალოდეტექტორის გამოყენებით, ფიზიკური შეხების გარეშე ან/და ნივთის დათვალიერება მეტალოდეტექტორის გამოყენებით;
 - ი) **უსაფრთხოების დაცვის სამსახური** - გიმნაზიის დამხმარე სტრუქტურული ერთეული(დაცვის თანამშრომელი, ღამის დარაჯი), რომელიც გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
 - კ) **უფლებამოსილი პირი** – გიმნაზიის რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი, რომელიც ამავდროულად არის გიმნაზიის უსაფრთხოების დაცვის სამსახურის უფროსი და პასუხისმგებელია გიმნაზიის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე.
2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

მუხლი 3. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები

1. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის გიმნაზია ვალდებულია, განახორციელოს გეგმით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებები;
2. გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება უსაფრთხოების დაცვის სამსახურისა და უფლებამოსილი პირის საშუალებით;
3. გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს უფლებამოსილი პირი და გიმნაზიის დირექცია;
4. გიმნაზიის შენობის დაცვას უზრუნველყოფს გიმნაზიის დაცვის სამსახური;
5. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, გიმნაზია ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განათავსოს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

თავი II. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები

მუხლი 4. ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

1. ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, გიმნაზია ვალდებულია გიმნაზიის შენობაში თვალსაჩინოადგილას განათავსოს:
 - ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდგომში – 112);
 - ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი – 2 200 220;
 - გ) უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის ნომერი;
 - დ) გიმნაზიის მოძღვრის მობილური ტელეფონის ნომერი
 - ე) საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი – 598 08 30 06, 1481;
 - ვ) გიმნაზია ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების/უწყებების ნომერების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ.

მუხლი 5. მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა

1. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, გიმნაზიის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით.
2. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომლის გაცნობაც ხორციელდება გიმნაზიის მიერ მოსწავლეებისათვის, ეყრდნობა შემდეგ სამართლებრივ აქტებს:
 - ა) „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
 - ბ) შინაგანაწესით გათვალისწინებულ მოსწავლეთა ქცევის წესებ;
 - გ) „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი“;
 - დ) წინამდებარე წესსა და გიმნაზიის შინაგანაწესს.
3. მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა მოხდება ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, პოზიტიური ხასიათის, არ ისახავს მიზნად მოსწავლეში შიშისა და დასჯის გრძნობის გაღვივებას, განხორციელდება მისი ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით.

მუხლი 6. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება

1. გიმნაზიის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები წერილობითი ფორმით, ანონიმურობის დაცვით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შემსვები პირის მიერ პრობლემის გადაწყვეტის გზების შეთავაზებისა და გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების შესაძლებლობა;
2. შეფასების კითხვარს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს გიმნაზიის დირექტორი;
3. გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ და სრულდება ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე;
4. მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ შეფასების კითხვარის შევსებას უზრუნველყოფენ კლასის დამრიგებლები, ხოლო მასწავლებლების მიერ შეფასების კითხვარის შევსებას უზრუნველყოფს გიმნაზიის დირექცია;
5. შეფასების კითხვარის წერილობითი ფორმით შევსების შემთხვევაში, თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ შევსებულ შეფასების კითხვარებში ასახული ინფორმაციის განზოგადებას გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში იდენტიფიცირებული პრობლემების მიხედვით, მათ დაჯგუფებას შემსვები პირების სტატუსის გათვალისწინებით (მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები) და განზოგადებული ინფორმაციის მიწოდებას გიმნაზიის დირექციისათვის ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე არანაკლებ 23 კალენდარული დღით ადრე;
6. შეფასების კითხვარის წერილობითი ფორმით შევსების შემთხვევაში, გიმნაზიის დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებლების მიერ შევსებული შეფასების კითხვარების განზოგადებას გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში იდენტიფიცირებული პრობლემების მიხედვით ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე არანაკლებ 15 კალენდარული დღით ადრე;
7. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული განზოგადებისას დაუშვებელია გიმნაზიის ადმინისტრაციის მიერ რომელიმე პრობლემის უგულებელყოფა, გიმნაზიის დირექცია მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უზრუნველყოფს გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

შეთავაზებული გადაწყვეტის გზების შესახებ ერთიანი ანგარიშის მომზადებას ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე.

მუხლი 7. ძალადობის რისკების შეფასება გიმნაზიაში

1. ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენციასა და ძალადობის განმეორების საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით, გიმნაზია ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ განახორციელოს ძალადობის რისკების შეფასება მოსწავლეებში და მასწავლებლებში;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასებისას დაცული უნდა იყოს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ანონიმურობა;
3. მოსწავლეებში ძალადობის რისკების შეფასება არის გიმნაზიის მიერ ძალადობის პრევენციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველი.

მუხლი 8. ფსიქოლოგიური დახმარების მიღება

1. მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოლოგიური დახმარების მიღება შეუძლიათ გიმნაზიის მიერ მოწვეულ ფსიქოლოგთან კონსულტაციით, რა დროსაც დაცული იქნება ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების ანონიმურობა.

მუხლი 9. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები

1. გიმნაზია ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ აწარმოოს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია:
 - ა) ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ;
 - ბ) დისკრიმინაციის წინააღმდეგ;
 - გ) ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ;
 - დ) ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.
2. მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია გიმნაზიამ შეიძლება აწარმოოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე:
 - ა) დისკუსიების/დებატების მოწყობით;
 - ბ) საკლასო/სასკოლო ესეების კონკურსის გამართვით;
 - გ) საკლასო/სასკოლო ნახატების კონკურსის გამართვით;
 - დ) სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებით;
 - ე) საკლასო/სასკოლო თეატრალური წარმოდგენების გამართვით;
 - ვ) ფილმების/ვიდეორგოლების ჩვენებით;
 - ზ) როლური თამაშების გამართვით;
 - თ) სხვადასხვა ხასიათის კვირეულების მოწყობით (მაგ: დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული);
 - ი) გიმნაზიის მომღვათთან ან/და რექტორის შიდა ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრულ პირთან შეხვედრების ორგანიზებით;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- კ) უბნის ინსპექტორთან მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზებით;
- ლ) შესაბამის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებთან მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზებით.
2. გიმნაზია ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორცაა:
- ა) მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში;
 - ბ) შვილთან ეფექტური კომუნიკაცია;
 - გ) ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
 - დ) ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
 - ე) ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
 - ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესი;
 - ზ) სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.
3. მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ორგანიზების მიზნით, გიმნაზია უფლებამოსილია:
- ა) მოიწვიოს გიმნაზიის მოძღვარი;
 - ბ) მოიწვიოს ფსიქოლოგი;
 - გ) მოიწვიოს ცნობილი ადამიანები, სპორტსმენები;
 - დ) მოიწვიოს უბნის ინსპექტორი.
4. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.

მუხლი 10. მრჩეველთა საბჭო

1. გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, გიმნაზიის რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის საგანგებო კომისიას/მრჩეველთა საბჭოს.
2. მრჩეველთა საბჭო:
 - ა) განიხილავს გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს გიმნაზიის რექტორსა და აღმასრულებელ დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის;
 - ბ) განიხილავს გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზების შესახებ ერთიან ანგარიშს, მასზე დაყრდნობით შეიმუშავებს გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებს და წარუდგენს გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

გ) ისმენს გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის ანგარიშს გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით;

დ) უფლებამოსილია შეიმუშაოს ინიციატივები გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარების შესახებ და წარუდგინოს გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის;

ე) უფლებამოსილია მიმართოს გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს მოსწავლეთა/კანონიერ წარმომადგენელთა საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ორგანიზების მოთხოვნით.

3. საგანგებო კომისიის/მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) გიმნაზიის რექტორი ან/და აღმასრულებელ დირექტორი;

ბ) უფლებამოსილი პირი – საგანგებო კომისიის/მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე – საგანგებო კომისიის/მრჩეველთა საბჭოს მდივანი;

დ) მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე;

ე) მშობელთა სათათბიროს თავმჯდომარე;

ვ) შესაბამისი რესურსცენტრის უფროსი ან თანამშრომელი;

4. საგანგებო კომისიის/მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა საგანგებო კომისიის/მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობიდან, წევრების მიერ, ხმათა უმრავლესობით. საგანგებო კომისიის/მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე უძღვება სხდომებს, ორგანიზებას უწევს საგანგებო კომისიის/მრჩეველთა საბჭოს საქმიანობას და განსაზღვრავს სხდომის დღის წესრიგს, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ოთხჯერ მაინც;

5. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, მათ უფლებამოსილებას, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის წინასწარი დავალებით, ახორციელებს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ან ერთ-ერთი წევრი;

6. მრჩეველთა საბჭოს სხდომას იწვევს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, საკუთარი ინიციატივით ან მრჩეველთა საბჭოს წევრის თხოვნის საფუძველზე;

7. მრჩეველთა საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მრჩეველთა საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი;

8. მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარის ხმა;

9. მრჩეველთა საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრები და მდივანი;

10. მრჩეველთა საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია დაიცვას სხდომაზე განხილული ინფორმაციის (მათ შორის პერსონალური მონაცემების) კონფიდენციალურობა და არ დაუშვას მისი გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

თავი III. გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები

მუხლი 11. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა

1. გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას წარმოადგენს:
 - ა) საგანგებო სიტუაციები (ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.);
 - ბ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი (ფართო გავრცელების პოტენციალის მქონე) გადამდები დაავადების შემთხვევა გიმნაზიაში (შემდგომში – გადამდები დაავადების შემთხვევა).
 - გ) სუიციდური აზრი, სუიციდის მცდელობა, სუიციდი;
 - დ) თვითდაზიანება;
 - ე) ფეთქებადი ნივთიერებების გიმნაზიაში აღმოჩენა ან ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შეტყობინება;
 - ვ) მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონა, ასევე იმ საგნის ქონა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის ქონა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად;
 - ზ) მოსწავლის/მასწავლებლის/გიმნაზიის სხვა თანამშრომლის/მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ თამბაქოს, ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შეტანა, რეალიზაცია, მოხმარება გიმნაზიის ტერიტორიაზე ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;
 - თ) მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება საპატიო მიზეზის გარეშე, იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულის შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული, ასევე მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კლასის ან/და გიმნაზიის დატოვება შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე;
 - ი) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობა;
 - კ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევა;
 - ლ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენა;
 - მ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნის მიხედვით;
 - ნ) მოსწავლის დესტრუქციული ქცევა;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- ო) მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღება, ფულის შეგროვება, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევა;
 - პ) მოსწავლის/მასწავლებლის/გიმნაზიის თანამშრომლის/-გიმნაზიის ქონების ხელყოფა;
 - ჟ) სხვა გარემოება ან/და ქმედება, რომელმაც შეიძლება გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საფრთხე შეუქმნას იქ მყოფ პირთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან/და ქონებას, გიმნაზიის გამართულ ფუნქციონირებას ან/და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ასევე შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსისა და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების ან/და ქმედებისას უფლებამოსილი პირის/გიმნაზიის ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები ემსახურება ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

მუხლი 12. საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საგანგებო სიტუაციების დროს უფლებამოსილი პირი ან/და სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი რეკავს განგაშის ზარს და საფრთხის შესახებ ატყობინებს შენობაში მყოფ ყველა პირს.
2. განგაშის ზარის დარეკვისთანავე სავალდებულოა სასწავლო პროცესის შეწყვეტა.
3. უფლებამოსილმა პირმა/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს სიმშვიდის შენარჩუნება და პანიკის აღკვეთა.
4. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უკავშირდება „112“-ს, აცნობებს საგანგებო სიტუაციის თავისებურებებს, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის მიზეზს, სავარაუდო მასშტაბებს, არსებულ ვითარებას.
5. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფენ გიმნაზიის შენობაში მყოფი პირების განთავსებას უსაფრთხო ადგილას.
6. კლასის დამრიგებელი აღრიცხავს თავისი კლასის მოსწავლეებს, ადგენს და აღრიცხავს დაკარგული ადამიანების რაოდენობასა და ვინაობას და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას გადასცემს შესაბამის პირებს.
7. კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას, რა დროსაც რეკომენდებულია კლასის დამრიგებელს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.
8. გიმნაზიის დირექტორი ვალდებულია საგანგებო სიტუაციების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და უფლებამოსილ ორგანოებს.
9. საგანგებო სიტუაციის დროს, სიტუაციის გათვალისწინებით, რეკომენდებულია:
 - ა) გაზის, ელექტროხელსაწყოების, წყალსადენი ქსელის გათიშვა;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

ბ)შენობაში არსებული დოკუმენტაციის, კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული მოწყობილობების, ნივთების და ინვენტარის შეძლებისდაგვარად განთავსება შენობის უსაფრთხო ნაწილში.

10. საგანგებო სიტუაციის მართვას დაქვემდებარებისთანავე, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს მოსწავლის, კანონიერი წარმომადგენლის, მასწავლებლის გადამისამართებას ექიმთან ან/და მოძღვართან.
11. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გიმნაზიის დირექტორის მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 13. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი გადამდები დაავადების შემთხვევის დროს

1. გიმნაზიაში გადამდები დაავადებების შემთხვევის გამოვლენისას გიმნაზიის ექიმი/უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების შემდგომ, გიმნაზიაში გადამდები დაავადებების შემთხვევის გამომვლენი გიმნაზიის ექიმი/უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ აცნობებენ გიმნაზიის დირექციას.
3. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს გიმნაზიაში სიმშვიდის შენარჩუნებას.
4. გიმნაზიის ექიმი/გიმნაზიის რექტორი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს დაავადებაზე საექვო ყველა პირის (ბავშვი/თანამშრომელი) იზოლირებას სხვა პირებისგან.
5. გიმნაზიის დირექტორი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს დაავადებულთან კონტაქტირებული პირების იდენტიფიცირებას და მათ იზოლირებას ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირებისა და სხვა პირებისაგან.
6. გიმნაზიის ექიმი/უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს გადამდებ დაავადებაზე საექვო პირებზე დაკვირვებას/მეთვალყურეობას სასწრაფო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე, ასევე საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოების შესაბამისი ზომების დაცვით პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას.
7. გიმნაზიის ექიმი/უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს სასწრაფო დახმარების ბრიგადის ინფორმირებას შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსის ხაზგასმით (მაგ, ნიშნები, ზუსტი დრო, ადგილი, გატარებული ღონისძიებები და ა.შ.) და, საჭიროების შემთხვევაში, ასრულებს მათ მითითებებს.
8. კლასის დამრიგებელი/გიმნაზიის ადმინისტრაცია მომხდარის შესახებ ატყობინებს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს/დაავადებულის ოჯახს, რა დროსაც

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

რეკომენდებულია შესაბამის პირს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს/ოჯახის წევრს მიაწოდოს მოსწავლის/პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.

9. გიმნაზიის დირექტორი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას საგანმანათლებლო რესურსცენტრისათვის.
10. გიმნაზიის ექიმი/სამედიცინო მომსახურების სერვისის მიმწოდებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახურისთვის „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის N01-26/ნ ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.
11. გიმნაზიის ექიმი/ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე.
12. ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების მიზნით გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გიმნაზიის დირექტორის მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 14. სუიციდური აზრი

1. ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ, ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს/გიმნაზიის ადმინისტრაციას, რომლებიც ვალდებული არიან ინფორმაცია მიაწოდონ სუიციდური აზრის მქონე მოსწავლის კლასის დამრიგებელს;
2. ინფორმაციის მიღებისთანავე, უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ესაუბრება და ამშვიდებს მოსწავლეს.
3. დაუშვებელია მოსწავლისათვის დაპირების მიცემა, რომ არ მოხდება მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება უფლებამოსილი პირისათვის/გიმნაზიის ადმინისტრაციისათვის/კლასის, დამრიგებლისათვის/კანონიერი წარმომადგენლისათვის /მოდღვრისათვის.
4. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ან/და მოძღვრის/ექიმის გიმნაზიაში გამოცხადებამდე დაუშვებელია მოსწავლის დატოვება უმეთვალყურეოდ.
5. მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ უფლებამოსილი პირის/გიმნაზიის ადმინისტრაციის/მოსწავლის კლასის დამრიგებლის/კანონიერი წარმომადგენლის/მოდღვრისა და ექიმისთვის.
6. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს გიმნაზიის მოძღვართან შეხვედრის ორგანიზება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

7. უფლებამოსილი პირი ამისამართებს სუიციდური აზრის მქონე მოსწავლეს გიმნაზიის ფსიქოლოგთან.

მუხლი 15. სუიციდის მცდელობა

1. მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობის შემსწრე ყველა პირი ვალდებულია შეეცადოს, შეაჩეროს სუიციდის მცდელობა.
2. მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობის შემსწრე პირი/უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს, ხოლო შემდგომ ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს უფლებამოსილ პირს/გიმნაზიის ადმინისტრაციას.
3. დაუშვებელია სუიციდის მცდელობის შემსწრე პირის მიერ სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლის დატოვება უმეთვალყურეოდ უფლებამოსილი პირის/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მოსვლამდე;
4. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გამოცხადონ შემთხვევის ადგილას და უზრუნველყონ მოსწავლისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა (იმ შემთხვევაში, თუ გიმნაზიაში არსებობს პირი, რომელმაც იცის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი).
5. გიმნაზიის დირექტორი მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს.
6. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს თვითმხილველი მოსწავლეების გარიდებას, მათზე მეთვალყურეობას, დამშვიდებასა და სხვა მოსწავლეებში ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას.
7. დაუშვებელია სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლის უმეთვალყურეოდ დატოვება, კანონიერი წარმომადგენლის ან/და მოძღვრის/ექიმის.
8. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია მომხდარის შესახებ ინფორმაციას აწვდის კლასის დამრიგებელს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისთვის, რა დროსაც რეკომენდებულია კლასის დამრიგებელს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.
9. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს გიმნაზიის მოძღვრთან შეხვედრის ორგანიზება გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლეს, კანონიერ წარმომადგენელს და თვითმხილველ მოსწავლეებს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.
10. უფლებამოსილი პირი სუიციდის აზრის მქონე მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს, ასევე საჭიროების შემთხვევაში, სუიციდის მცდელობის ფაქტის შემსწრე მოსწავლეს ამისამართებს გიმნაზიის ექიმთან.
 1. გიმნაზიაში სუიციდის შემთხვევაში, სუიციდის ფაქტის შემსწრე პირი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს „112“-ს, ხოლო შემდგომ უფლებამოსილ პირს/გიმნაზიის ადმინისტრაციას.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

2. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს თვითმხილველი მოსწავლეების გარიდებას, მათზე მეთვალყურეობას, დამშვიდებასა და სხვა მოსწავლეებში ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას.
3. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შემთხვევის ადგილის დაცვას, გადაკეტვას.
4. უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაცია სუიციდის შესახებ ატყობინებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს/კანონიერ წარმომადგენლს მხოლოდ პოლიციის მიერ გარდაცვლილის იდენტიფიცირების შემდეგ.
5. გიმნაზიის დირექტორი სუიციდის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს.
6. სუიციდის თვითმხილველი მოსწავლეების კლასის დამრიგებელი სუიციდის ფაქტის შესახებ ინფორმაციას ატყობინებს სუიციდის თვითმხილველი მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს.
7. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს გიმნაზიის ექიმის/და მოძღვრის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, სუიციდის თვითმხილველ მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს, მასწავლებლებს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.
8. უფლებამოსილი პირი, საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს სუიციდის თვითმხილველ მოსწავლეებს, ასევე დალუპული მოსწავლის მასწავლებლებს გიმნაზიის ფსიქოლოგთან.
9. დაუშვებელია გიმნაზიის ტერიტორიაზე დალუპული მოსწავლის მუდმივი გასახსენებელი ადგილის მოწყობა და რაიმე სახის სამგლოვიარო რიტუალის ჩატარება (პანაშვიდი, გასვენება და ა.შ.).

მუხლი 17. თვითდაზიანება

1. ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია მოსწავლის თვითდაზიანების შესახებ, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს უფლებამოსილი პირს/სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციას, რომლებიც თავის მხრივ ვალდებული არიან ინფორმაცია მიაწოდონ მოსწავლის კლასის დამრიგებელს.
2. ინფორმაციის მიღებისთანავე, უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ესაუბრება მოსწავლეს და იკვლევს თვითდაზიანების მიზეზს.
3. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლის თვითდაზიანების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას.
4. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია, თვითდაზიანების ხარისხის გათვალისწინებით, უზრუნველყოს გიმნაზიის ექიმის ან/და მოძღვრის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება თვითდაზიანების განმარტყილებელ მოსწავლესა და კანონიერ წარმომადგენელს, მასწავლებლებს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

5. უფლებამოსილი პირი ამისამართებს თვითდაზიანების განმახორციელებელ მოსწავლეს გიმნაზიის ექიმთან.
6. მოსწავლის თვითდაზიანების შესახებ ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ უფლებამოსილი პირის/გიმნაზიის ადმინისტრაციის/მოსწავლის კლასის დამრიგებლის/კანონიერი წარმომადგენლისა და გიმნაზიის მოძღვრისთვის.

მუხლი 18. ფეთქებადი ნივთიერებების გიმნაზიაში აღმოჩენა

1. ფეთქებადი ნივთიერებების გიმნაზიაში აღმოჩენისას უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებული არიან უზრუნველყონ:
 - ა) მოსწავლეების, მასწავლებლების და გიმნაზიის შენობაში მყოფი სხვა პირების დაწესებულებიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება;
 - ბ) „112“-თან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება, ასევე საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმირება.
2. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს:
 - ა) იმ პირთა აღწერას, რომლებიც ევაკუირებულ იქნენ დაწესებულების შენობიდან;
 - ბ) მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას, რა დროსაც რეკომენდებულია კლასის დამრიგებელს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.
3. უფლებამოსილი პირი აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს ევაკუირებული მოსწავლის/მოსწავლეების გადამისამართებას სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.

მუხლი 19. გიმნაზიაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შეტყობინება

1. ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ ანონიმური ზარების მიმღებმა პირმა აუცილებელია სატელეფონო საუბრის დროს შეინარჩუნოს მშვიდი ტონი და გაახანგრძლივოს საუბრის დრო, დროის მოგებისა და ინფორმაციის მოპოვების მიზნით დამატებითი კითხვების დასმით. დროის მოგება ასევე შესაძლებელია შემდეგი გზებით: ზარის განმახორციელებელი პირის მონაცემების/გამონათქვამების ნაწილობრივ არასწორად/არასრულყოფილად გამეორებით (სიფრთხილით, გადაჭარბების გარეშე); ცუდი, უხარისხო კავშირის გათამაშებით; რაც შეიძლება ზუსტი მონაცემების მოთხოვნით (აღნიშნული წერილობით უნდა იქნეს ასახული).
2. იმ შემთხვევაში, თუ ანონიმური ზარის მიმღებს აქვს შესაძლებლობა, რეკომენდებულია ტელეფონის ხმამაღალ რეჟიმზე ჩართვა და საუბრის მიმდინარეობისას „112“-თან დაკავშირება.
3. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებული არიან ანონიმური ზარის დასრულებისთანავე უზრუნველყონ:
 - ა) „112“-თან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება, ასევე საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმირება;
 - ბ) მოსწავლეების, მასწავლებლების და გიმნაზიის შენობაში მყოფი სხვა პირების დაწესებულებიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება.
4. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს:

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- ა) იმ პირთა აღწერას, რომლებიც ევაკუირებულ იქნენ დაწესებულების შენობიდან;
- ბ) მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას, რა დროსაც რეკომენდებულია კლასის დამრიგებელს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.

5. უფლებამოსილი პირი აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს ევაკუირებული მოსწავლის/მოსწავლეების გადამისამართებას გიმნაზიის ექიმთან/მომღვართან.

მუხლი 20. მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონა, ასევე იმ საგნის ქონა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის ქონა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად

- 1. ნებისმიერი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს უფლებამოსილ პირს/გიმნაზიის ადმინისტრაციას მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონის შესახებ, ასევე იმ საგნის ქონის შესახებ, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის ქონის შესახებ, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად.
- 2. გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით დასაშვებია უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება, რომლის მიზანია უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის აღმოჩენა, იმ საგნის აღმოჩენა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომით/სამართალდარღვევით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის აღმოჩენა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად.
- 3. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოებები მიუთითებს მოსწავლის მიერ სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესის შესაძლო დარღვევაზე ან/და შესაძლო სამართალდარღვევაზე და არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შედეგად გამოვლინდება გიმნაზიის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა ან/და შესაძლო სამართალდარღვევა.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

4. დაუშვებელია მოსწავლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის გადაძალა ან/და რაიმე ფორმით განადგურება. უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი ზომები მოსწავლის აღნიშნული ქმედების თავიდან ასაცილებლად.
5. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების უფლებამოსილება აქვს იმავე სქესის უფლებამოსილ პირს. ამ პუნქტიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გიმნაზიაში არ არის მოსწავლის შესაბამისი სქესის უფლებამოსილი პირი.
6. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება გიმნაზის თანამშრომლის ინიციატივით.
7. მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება მეტალოდეტექტორის გამოყენებით, ფიზიკური შეხების გარეშე, ასევე მოსწავლის ნივთის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება მეტალოდეტექტორის გამოყენებით.
8. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას წინ უნდა უსწრებდეს უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის გაფრთხილება უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შესახებ და მოწოდება, რომ ნებაყოფლობით, ყოველგვარი შემოწმების გარეშე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთები გადასცეს პირს, რომელმაც უნდა ჩაატაროს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება.
9. თუ მოსწავლის მიერ წარმოდგენილია ან უფლებამოსილი პირის მიერ აღმოჩენილია იმგვარი სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ნივთები, რომლის მოსწავლის მიერ ფლობაზე რეაგირებაც საქართველოს კანონმდებლობით სამართალდამცავი ორგანოს კომპეტენციაა, უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ აცნობებს სამართალდამცავ ორგანოს.
10. აღმოჩენილი ნივთები უფლებამოსილი პირის მიერ გადაეცემა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ან სამართალდამცავ ორგანოს, ნივთის/საგნის ხასიათის გათვალისწინებით.
11. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებისას უფლებამოსილი პირი ვალდებულია:
 - ა) იმოქმედოს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და მოსწავლის ღირსების სრული დაცვით;
 - ბ) იყოს თავაზიანი, მომთმენი, იმოქმედოს მშვიდად და ისაუბროს მოსწავლისათვის გასაგებ ენაზე;
 - გ) მოსწავლეს არ შეუზღუდოს იმ ნივთებით სარგებლობა, რომელიც არ აფერხებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების მიმდინარეობას, ასევე, არ ჩამოართვას ის ნივთები, რომელიც არ წარმოადგენდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების მიზანს;
 - დ) უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება არ ჩაატაროს ჯგუფურად.
უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას დამატებით უნდა ესწრებოდეს გიმნაზიის თანამშრომელი, რომელსაც განსაზღვრავს გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი.
12. უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მიმართ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შესახებ.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

13. მოსწავლისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია დაიწყოს მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოება.
14. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის აღმოჩენა სხვაგვარად შეუძლებელია ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებისას აღმოჩენილი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის უფლებამოსილი პირისათვის გადაცემაზე, უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაიწყოს მოსწავლის განცალკევების პროცედურა.
15. უფლებამოსილი პირი აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მოსწავლის გადამისამართებას გიმნაზიის ექიმთან.
16. უფლებამოსილი პირი ადგენს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შესახებ ოქმს.

მუხლი 21. მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის სხვა თანამშრომლის მიერ ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შეტანა, რეალიზაცია, მოხმარება გიმნაზიის ტერიტორიაზე ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა

1. ნებისმიერი პირი, რომლისთვისაც ცნობილია მოსწავლის/მასწავლებლის/გიმნაზიის სხვა თანამშრომლის მიერ ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შეტანის, რეალიზაციის, მოხმარების გიმნაზიის ტერიტორიაზე ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტი, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უფლებამოსილ პირს/გიმნაზიის ადმინისტრაციას.
2. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოსწავლეს აქვს ალკოჰოლი ან/და ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია განახორციელოს მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ამ წესის 20-ე მუხლით დადგენილი წესით.
3. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მასწავლებელს/სკოლა-გიმნაზიის სხვა თანამშრომელს აქვს ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „112“-ს.
4. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია მოსწავლისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს:

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- ა) „112“-ს;
- ბ) მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;
- გ) შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

5. უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს გიმნაზიის ექიმთან.

მუხლი 22. მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება საპატრიო მიზეზის გარეშე, იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულის შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული

1. საპატრიო მიზეზით მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია შეატყობინოს მოსწავლის კლასის დამრიგებელს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს შესაბამისი საგნის მასწავლებლის და გიმნაზიის ადმინისტრაციის/უფლებამოსილი პირის ინფორმირებას.
2. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ შესაბამისი საგნის მასწავლებელი არ არის ინფორმირებული, შესაბამისი საგნის მასწავლებელი მოსწავლის დაგვიანების/საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს კლასის დამრიგებელს/უფლებამოსილ პირს. კლასის დამრიგებელი/უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შეატყობინოს აღნიშნული ფაქტის შესახებ და დაადგინოს მისი მიზეზი.
3. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ, კლასის დამრიგებელი/უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღნიშნული აცნობოს გიმნაზიის დირექციას.
4. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არ გამოცხადდა საგაკვეთილო პროცესზე და აღნიშნულის შესახებ არ არის ინფორმირებული მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი, ამასთან ვერ ხერხდება მოსწავლის ადგილსამყოფლის დადგენა ან/და მოსწავლესთან დაკავშირება, უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს „112“-ს.
5. თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის გიმნაზიაში გამოუცხადებლობა/დაგვიანება გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვისა, უფლებამოსილი პირი ფაქტის შესახებ ავსებს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437 დადგენილების შესაბამისად.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ვალდებულია უზრუნველყოს გიმნაზიის ექიმის ან/და მოძღვრის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.
7. უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს გიმნაზიის ექიმთან.

მუხლი 23. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კლასის ან/და გიმნაზიის დატოვება შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე

1. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კლასის ან/და გიმნაზიის დატოვება დაუშვებელია შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე.
2. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე კლასის ან/და გიმნაზიის დატოვების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი საგნის მასწავლებელი/ნებისმიერი პირი დაუყოვნებლივ აწვდის უფლებამოსილ პირს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას კლასის დამრიგებლისთვის.
3. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე კლასის ან/და გიმნაზიის დატოვების შესახებ კლასის დამრიგებელი/უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ აცნობებს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
4. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის/უფლებამოსილი პირის მხრიდან ვერ ხორციელდება მოსწავლის ადგილსამყოფლის დადგენა, უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ ატყობინებს „112“-ს.
5. მოსწავლის ადგილსამყოფლის იდენტიფიცირებისა და მისი გიმნაზიაში გამოცხადების შემდგომ, უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაუბრებასა და სიტუაციის მართვას.
6. უფლებამოსილი პირი აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მოსწავლის გადაამისამართებას გიმნაზიის ფსიქოლოგთან.

მუხლი 24. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობა

1. ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის ჩადენის ფაქტის ცოდნის ან ასეთის ეჭვის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს/გიმნაზიის ადმინისტრაციას.
2. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ძალადობის შესაძლო შემთხვევებია:
 - ა) მოსწავლის ძალადობა მოსწავლის მიმართ;
 - ბ) მოსწავლის მიმართ ძალადობა უცხო პირის მხრიდან;
 - გ) მოსწავლის მიმართ ძალადობა მასწავლებლის მხრიდან;
 - დ) მოსწავლის მიმართ ძალადობა გიმნაზიის ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან;
 - ე) მოსწავლის მიმართ ძალადობა უფლებამოსილი პირის მხრიდან;
 - ვ) ოჯახში ძალადობა.
3. მოსწავლის მიმართ მოსწავლის ან/და უცხო პირის მიერ ძალადობის შემთხვევაში:
 - ა) უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ვალდებულია დაუკავშირდეს „112“-ს, საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;
 - ბ) უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს მოსწავლის ან/და მოსწავლეებისა და უცხო პირის განცალკევებას ამ წესის 31-ე მუხლით დადგენილი წესით;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

4. მოსწავლის მიმართ მასწავლებლის ან/და გიმნაზიის ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში:
 - ა) უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უკავშირდება „112“-ს;
 - ბ) უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ინფორმაციას დაუყოვნებლივ ატყობინებს საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;
5. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში:
 - ა) უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს;
 - ბ) უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს გიმნაზიის ექიმის ან/და მოძღვრის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას;
6. უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან.
7. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ფაქტის შესახებ ავსებს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 25. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევა

1. ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევის ან/და სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის ცოდნის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს/გიმნაზიის ადმინისტრაციას.
2. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს.
3. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია, შესაძლებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სამართალდარღვევის აღკვეთასა და სამართალდარღვევის ადგილის შემოსაზღვრას.
4. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სამართალდარღვევის თვითმხილველი მოსწავლეების გარიდებას, მათზე მეთვალყურეობას და სხვა მოსწავლეებში ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში).
5. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს დამრღვევი/დაზარალებული/თვითმხილველი მოსწავლეების კლასის დამრიგებლებისათვის ინფორმაციის შეტყობინებას, რომელიც თავის მხრივ

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს დამრღვევი/დაზარალებული/თვითმხილველი მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს.

6. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს გიმნაზიის ექიმის ან/და მოძღვრის გამოძახებას, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.
7. უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს გიმნაზიის ფსიქოლოგთან.
8. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის.
9. გიმნაზიის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვა.

მუხლი 26. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენა

1. ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენის ფაქტის ცოდნის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს/გიმნაზიის ადმინისტრაციას.
2. თუ მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგი ან კიბერბულინგი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს.
3. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დაადგინოს ბულინგის/კიბერბულინგის მიზეზები, გაესაუბროს ყველა ჩართულ მხარეს, დაადგინოს წინააღმდეგობები მონაყოლებს შორის და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები.
4. დაუშვებელია ბულინგის/კიბერბულინგის ფაქტის იგნორირება. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია უზრუნველყოს კონფლიქტის მოგვარების დროს სიტუაციის მიუკერძოებლად შეფასება და უზრუნველყონ მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება.
5. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დააკვირდეს როგორც ბულინგის/კიბერბულინგის გამტარებელს, ასევე მოსწავლეს, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი/კიბერბულინგი.
6. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია ბულინგის/კიბერბულინგის გამტარებელი მოსწავლისა და იმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი/კიბერბულინგი.
7. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული ბულინგის ხარისხის გათვალისწინებით, უზრუნველყოს გიმნაზიის მოძღვრის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

8. უფლებამოსილი პირი ამისამართებს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს გიმნაზიის ექიმთან.

მუხლი 27. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნის მიხედვით

1. ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს/გიმნაზიის ადმინისტრაციას.
2. თუ მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს.
3. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დაადგინოს მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის მიზეზები, გაესაუბრონ ყველა ჩართულ მხარეს, დაადგინოს წინააღმდეგობები მონაყოლებს შორის და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები.
4. დაუშვებელია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტის იგნორირება. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია უზრუნველყოს სიტუაციის მიუკერძოებლად შეფასება და უზრუნველყოს მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება.
5. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დააკვირდეს როგორც დისკრიმინაციის განმახორციელებელ მოსწავლეს, ასევე მოსწავლეს, რომლის მიმართაც განხორციელდა დისკრიმინაცია.
6. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია დისკრიმინაციის განმახორციელებელი მოსწავლისა და იმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რომლის მიმართაც განხორციელდა დისკრიმინაცია.
7. უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს მოსწავლის გადამისამართებას გიმნაზიის ექიმთან.

მუხლი 28. მოსწავლის დესტრუქციული ქცევა

1. მოსწავლის დესტრუქციული ქცევაა გაკვეთილის ჩაშლის მცდელობა, ასევე გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლის, მასწავლებლისა და გიმნაზიაში დასაქმებული სხვა პირების კანონიერი მოთხოვნისადმი მოსწავლის დაუმორჩილებლობა.
2. თუ მოსწავლე ამა თუ იმ ფორმით ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესს, არ ითვალისწინებს მასწავლებლის შენიშვნებს, მასწავლებელი ვალდებულია მაქსიმალურად შეეცადოს მის სასწავლო პროცესში ჩართვას. თუ ვერ მოხერხდა მოსწავლის ქცევის დარეგულირება, მასწავლებელი იძახებს უფლებამოსილ პირს/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელს/მორიგე მასწავლებელს/კლასის დამრიგებელს და მოსწავლეს მათი თანხლებით ატოვებინებს საგაკვეთილო პროცესს.
3. დაუშვებელია საგაკვეთილო პროცესიდან მოსწავლეების ჯგუფურად გაშვება.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

4. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ფაქტის შესახებ ინფორმაციას აწვდის მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
5. გაკვეთილის დასრულებამდე/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მოსვლამდე მოსწავლე უნდა იმყოფებოდეს უფლებამოსილი პირის/გიმნაზიის ადმინისტრაციის მეთვალყურეობის ქვეშ.
6. გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლის, მასწავლებლისა და გიმნაზიაში დასაქმებული სხვა პირების კანონიერი მოთხოვნისადმი მოსწავლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
7. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის გიმნაზიაში გამოცხადებამდე უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია მოსწავლე არ დატოვოს უმეთვალყურეოდ.
8. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე გიმნაზიის შენობას დატოვებს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის გიმნაზიაში გამოცხადებამდე, კლასის დამრიგებელი/უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მოსწავლის ადგილსამყოფლის დადგენა ან/და მოსწავლესთან დაკავშირება, უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ ატყობინებს „112“-ს.
9. უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს მოსწავლის გადამისამართებას გიმნაზიის ფსიქოლოგთან.

მუხლი 29. მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღება, ფულის შეგროვება, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერი ფორმით გამორთმევა

1. მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევის შესახებ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, ნებისმიერი პირი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელს.
2. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უფლებამოსილი პირი/სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს.
3. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დაადგინოს მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერი ფორმით გამორთმევის შესახებ ფაქტთან დაკავშირებული ყველა გარემოება, მიზეზები, გაესაუბროს ყველა ჩართულ მხარეს, დაადგინოს წინააღმდეგობები მონაყოლებს შორის და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები.
4. დაუშვებელია მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევის ფაქტის იგნორირება. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია სიტუაცია შეაფასოს მიუკერძოებლად და უზრუნველყოს მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება.

5. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დააკვირდეს მხარეებს სიტუაციის მოგვარების შემდეგაც. თუ მოსწავლე შემთხვევის შემდეგ გიმნაზიაში არ დადის, სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი მოძღვართან ერთად ადგენს მიზეზს და შეიმუშავებს გეგმას მისი სასწავლო პროცესში დაბრუნებისათვის.
6. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია სიტუაციაში მოწაწილე მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს.
7. უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს მოსწავლის გადამისამართებას გიმნაზიის ექიმთან.

მუხლი 30. მოსწავლის/მასწავლებლის/გიმნაზიის თანამშრომლის/გიმნაზიის ქონების ხელყოფა

1. ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია მოსწავლის/მასწავლებლის/გიმნაზიის თანამშრომლის/გიმნაზიის ქონების ხელყოფის შესახებ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს უფლებამოსილ პირს/გიმნაზიის ადმინისტრაციას.
2. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს.
3. უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია ფოტოზე ასახოს მოსწავლის/მასწავლებლის გიმნაზიის თანამშრომლის/გიმნაზიის ქონების ხელყოფის შედეგი.
4. მოსწავლის/მასწავლებლის/გიმნაზიის თანამშრომლის/გიმნაზიის ქონების ხელყოფი მოსწავლის დადგენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია შესაბამის პირს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.
5. უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს მოსწავლის გადამისამართებას გიმნაზიის ექიმთან.

მუხლი 31. მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება

1. მოსწავლის/მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დასაშვებია განხორციელდეს მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოში, უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლის/მოსწავლეების ქმედებით საფრთხე ემუქრება პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე და ამ წესის 20-ე და 21-ე მუხლებით გათვალისწინებული ნივთის აღმოჩენა სხვაგვარად შეუძლებელია ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებისას აღმოჩენილი ამ წესის 20-ე და 21-ე მუხლებით გათვალისწინებული ნივთის უფლებამოსილი პირისათვის გადაცემაზე.
2. უფლებამოსილი პირი/-გიმნაზიის ადმინისტრაცია საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს გიმნაზიის ექიმის ან/და მოძღვრის გამოძახებას, რომელიც ცალ-ცალკე

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.

- ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია უფლებამოსილი პირის/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლის/მასწავლებლის მეთვალყურეობით განხორციელდეს მოსწავლის/მოსწავლეების ჩართვა შემდეგ სასკოლო აქტივობებში: მომდევნო დღის გაკვეთილების მომზადება; საგანმანათლებლო პროექტებზე მუშაობა; საგანმანათლებლო რესურსების შექმნა/განახლება; კლასგარეშე ლიტერატურის გაცნობა და, ასევე, გიმნაზიის მიერ განსაზღვრული სხვა აქტივობები.
- მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევების მომენტიდან უფლებამოსილი პირის/მასწავლებლის/გიმნაზიის ადმინისტრაციის მიერ, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში – ექიმის ან/და მოძღვრის განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა ემსახურობდეს ისეთ მიზნებს, როგორცაა მოსწავლის/მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რისკის შემცირება და მოსწავლის/მოსწავლეების ქცევის მართვა.
- მოსწავლის განცალკევების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მოსწავლის მიერ შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში – სამართალდამცავ ორგანოს.
- მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის გიმნაზიაში გამოცხადებამდე.
- მოსწავლის განცალკევების უფლება აქვს უფლებამოსილ პირს.
- მოსწავლის განცალკევების განხორციელებისას უფლებამოსილი პირი მოსწავლეს მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტავს იმ გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება მოსწავლის განცალკევება.
- უფლებამოსილი პირი ადგენს მოსწავლის განცალკევების განხორციელების შესახებ ოქმს.
- უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს განცალკევებული მოსწავლის გადამისამართებას გიმნაზიის ექიმთან.

მუხლი 32. მდგომარეობის მართვა

- მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის პირველადი შეფასება ხორციელდება:
 - ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში – უფლებამოსილი პირის მიერ.
 - ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში – გიმნაზიის ექიმის მიერ.
- მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის შემდგომი მართვის მიზნით, ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს გიმნაზიის ექიმი.

მუხლი 33. ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევა

- მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის ან/და მასწავლებლებისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს გიმნაზიის ექიმი.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის საფუძველია:
 - უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის, მისი კანონიერი წამომადგენლის, გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ან/და მასწავლებლის რეფერირება;
 - მოსწავლის მიერ ექიმისთვის მიმართვა;
 - მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ ექიმისთვის მოსწავლისათვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის მოთხოვნით მიმართვა.
- დაუშვებელია მოსწავლისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მისი კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული.
- მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოსწავლისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, ექიმი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას გიმნაზიის ადმინისტრაციისთვის, მოსწავლის კლასის დამრიგებლისთვის და სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის.
- მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მოსწავლის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის ფარგლებში, ექიმი უზრუნველყოფს შესაბამისი კონსულტაციების გაწევას მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლებისთვის, მასწავლებლებისთვის, კლასის დამრიგებლისთვის, გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის, ასევე სხვა პირებისათვის, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ მოსწავლის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობაზე.

მუხლი 34. მედიაცია

- გიმნაზია ვალდებულია მოსწავლეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში უზრუნველყოს დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიაცია, მათი კანონიერი წარმომადგენლების, უფლებამოსილი პირისა და გიმნაზიის მოძღვრის ჩართულობით.
- გიმნაზია ვალდებულია გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომელიც მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მიმართული იქნება კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისკენ.

თავი IV. გიმნაზიის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვისა და ადმინისტრირების წესი

მუხლი 35. გიმნაზიის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვის წესი

- გიმნაზია ვალდებულია უზრუნველყოს გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვა.
- გიმნაზიის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს გიმნაზიის ყველა დერეფნის, შესასვლელისა (ფოიე) და კიბის უჯრედის ვიდეოდაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.
- დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება გიმნაზიის საპირფარეოში, გამოსაცვლელ ოთახებში, საკლასო ოთახში და სამასწავლებლოში.
- გიმნაზიის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს გიმნაზიის გარე პერიმეტრის (მათ შორის სპორტული მოედანი,

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

ბალი, სკვერი და სხვა) სრულად ვიდეოდაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.

5. ვიდეოთვალთვალის სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფს გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოდაკვირვებას, უნდა შეესაბამებოდეს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს #1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.
6. გიმნაზია ვალდებულია იზრუნოს გიმნაზიის ვიდეოთვალთვალის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე და უზრუნველყოს ყველა იმ ხარვეზის გამოსწორება და პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას უსაფრთხოების სამსახურის მიერ ვიდეოთვალთვალის სისტემით სარგებლობისას.

მუხლი 36. გიმნაზიის ვიდეოთვალთვალის სისტემის ადმინისტრირების წესი

1. ვიდეოსათვალთვალ სისტემის ყოველდღიურ გამოყენებას და ადმინისტრირებას უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვის სამსახური.
2. ვიდეოსათვალთვალ სისტემის ყოველდღიურ გამოყენებასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია უფლებამოსილი პირი.
3. ვიდეოსათვალთვალ სისტემის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია იტ მენეჯერი
4. გიმნაზია ვალდებულია გიმნაზიის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალ სისტემით ვიდეოჩაწერა აწარმოოს მთელი სასკოლო დროის განმავლობაში, ხოლო გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალ სისტემით ვიდეოჩაწერა – მუდმივად.
5. ვიდეოჩაწერის შედეგად მიღებული მაგნიტური ლენტები (ელექტრონული ინფორმაცია), შესაბამისი ჩანაწერებით, არანაკლებ 30 დღისა უნდა ინახებოდეს სათანადოდ დაცულ ადგილზე და დასაბუთებული მოთხოვნისთანავე უნდა წარედგინოს გიმნაზიის დირექციას, უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს, ასევე სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია უზრუნველყოს ვიდეოჩაწერის ადგილზე გაცნობა მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის.

თავი V. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის საქმიანობის წესი

მუხლი 37. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლის უფლება-მოვალეობები

1. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლის უფლება-მოვალეობებია:
 - ა) გიმნაზიისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კონტროლი;
 - ბ) მოსწავლეების, მასწავლებლების, გიმნაზიის დირექციის/ადმინისტრაციის და გიმნაზიის სხვა პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა გიმნაზიისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- გ) კატასტროფის (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) დროს მოსწავლეთა, გიმნაზიაში მომუშავე და იქ მყოფი სხვა პირების დაცვისა და ევაკუაციისათვის ხელის შეწყობა, აგრეთვე კატასტროფისათვის მზადყოფნის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვაში, მომზადებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
- დ) დამოუკიდებლად ან გიმნაზიის დირექციასთან ერთად გიმნაზიის ტერიტორიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვა;
- ე) გიმნაზიის შენობისა და გიმნაზიის ეზოში მდებარე ტაძრის/შენობების დაცვა;
- ვ) გიმნაზიაში ვიდუთვალთვალის სისტემის ადმინისტრირება;
- ზ) უსაფრთხოების დაცვის სამსახურის შემადგენლობაში შედიან: უსაფრთხოების დაცვის სამსახურის უფროსი, უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლები და ღამის დარაჯები.

მუხლი 38. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლის მიერ ძალის გამოყენების შემთხვევები და წესი

1. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომელს ფიზიკური ძალის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მსუბუქი ზომების გამოყენებით შეუძლებელია მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. გამოყენებული ფიზიკური ძალა წარმოქმნილი საფრთხის პროპორციული უნდა იყოს.
2. უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომელს ფიზიკური ძალის გამოყენების უფლება, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი პირობის გათვალისწინებით, აქვს შემდეგ შემთხვევებში:
 - ა) სამართალდარღვევის აღკვეთისას;
 - ბ) მაშინ, როდესაც საფრთხე ემუქრება გიმნაზიაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;
 - გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოსათვის წარსადგენად დამნაშავეს შეპყრობისას, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს პირი მიიმალება ან გარშემომყოფთ ზიანს მიაყენებს.
3. ფიზიკური ძალის გამოყენების დროს უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია:
 - ა) გააფრთხილოს პირი ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ და მისცეს მას საკმარისი დრო მისი მოთხოვნების შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაყოვნება საფრთხეს შეუქმნის უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომელს ან სხვა პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან გამოიწვევს სხვა მძიმე შედეგებს, ან როდესაც პირის გაფრთხილება შეუძლებელია;
 - ბ) ფიზიკური ძალა გამოიყენოს წარმოქმნილი საფრთხის ხასიათის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური უნდა იყოს;
 - გ) საფრთხე არ შეუქმნას გარშემომყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.
4. აკრძალულია ფიზიკური ძალის ფეხმძიმე ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი მოქმედებით აშკარა

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

საფრთხე ექმნება უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომელს ან სხვა პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

5. მოსწავლის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენების შემთხვევაში ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გიმნაზიის დირექტორსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
6. საფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების შემთხვევაში დგება ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ ოქმი. ამ ოქმში სხვა ინფორმაციის მითითებასთან ერთად უნდა დასაბუთდეს ფიზიკური ძალის გამოყენების აუცილებლობა.

თავი VI უფლებამოსილი პირი

მუხლი 39. უფლებამოსილი პირის უფლება-მოვალეობები

1. გიმნაზიის უფლებამოსილი პირი ამავედროულად შეძლება იყოს გიმნაზიის უსაფრთხოების დაცვის სამსახურის უფროსი.
2. უფლებამოსილი პირი ახორციელებს ამ წესით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.
3. უფლებამოსილი პირი უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად უზრუნველყოფს გიმნაზიაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. გიმნაზიის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით უფლებამოსილია განახორციელოს:
 - ა) გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით;
 - ბ) გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერება;
4. საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, გიმნაზიის გარე პერიმეტრის დათვალიერება ხორციელდება ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით. გიმნაზიის გარე პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერება უფლებამოსილმა პირმა უნდა განახორციელოს საჭიროებისამებრ;
5. უფლებამოსილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერებას, დარღვევის/სავარაუდო დარღვევის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს გიმნაზიის დირექციას/ადმინისტრაციას.
6. უფლებამოსილი პირის მიერ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შემდგომ, უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს ოქმის შედგენას დანართი #1-ით გათვალისწინებული ფორმით.
7. უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის განცალკევების შემდგომ, უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს ოქმის შედგენას დანართი #2-ით გათვალისწინებული ფორმით.
8. უფლებამოსილი პირის/უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ დგება ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ ოქმი დანართი #3-ით გათვალისწინებული ფორმით.
9. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებისას, უფლებამოსილი პირი იყენებს მეტალოდეტექტორს.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებისა და მისი პირადი ნივთების შემოწმებისათვის უფლებამოსილი პირის მოვალეობები

მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებისა და მისი პირადი ნივთების შემოწმებისათვის უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოსწავლის/მოსწავლეების უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება განახორციელოს „ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ (ბრძანება #83/2; 21.12.2020წ.) მე-20 მუხლის „მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონა, ასევე იმ საგნის ქონა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის ქონა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად 1-16 პუნქტების დაცვით;

- ✓ იყოს სამართლიანი, თავაზიანი, კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა;
- ✓ იყოს ობიექტური, დაიცვას და პატივისცეს მოსწავლის უფლებებს, თავისუფლებას და ღირსებას;
- ✓ დაამყაროს მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან ურთიერთ-თანამშრომლობითი ურთიერთობა;
- ✓ დაეხმაროს მოსწავლეს დისციპლინის, ქცევის წესების დაცვაში
- ✓ გიმნაზიაში დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და ხელი შეუწყოს უსაფრთხო გარემოს შექმნას;
- ✓ შესაძლო არასასურველ, მოსწავლის შეუფერებელ სიტუაციაში იმოქმედოს ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს მოსწავლის რეპუტაციას;
- ✓ იზრუნოს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე;
- ✓ მოახდინოს ვიდეოთვალთვალის სისტემის ადმინისტრირება;
- ✓ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომა/სამართალდამრღვევი მოსწავლის მიმართ გამოიყენოს შეყოვნების მექანიზმი, თუ მისი ქმედებით საფრთხე ემუქრება პირთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, მშობლის ან/და კლასის დამრიგებლის, დირექციის წარმომადგენლის გამოცხადებამდე არაუმეტეს 3 საათისა
- ✓ მოახდინოს გიმნაზიაში მოსწავლეთა შორის კონფლიქტის განეიტრალება;
- ✓ ეკრძალება სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება;
- ✓ ეკრძალება სამსახურებრივი მოვალეობის დროს ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

- ✓ ეკრძალება ცინიკური გამონათქვამები, ჟარგონებით საუბარი და სხვათა პატივისა და ღირსების შელახვა;
- ✓ მოსწავლეებთან ურთიერთობაში იყოს გაწონასწორებული, არ მოახდინოს ფსიქოლოგიურ ზეწოლა მოსწავლეებზე, შეძლოს კონფლიქტური სიტუაციების პრევენცია და მათი განმუხტვა;
- ✓ ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, არ დაუშვას დისციპლინური გადაცდომები (პირადი).

თავი VII. წესის დარღვევა

მუხლი 40. წესის დარღვევა

1. ამ წესის დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას გიმნაზიის შინაგანაწესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. გიმნაზია ვალდებულია უზრუნველყოს შინაგანაწესში ამ წესის დარღვევისათვის შესაბამისი დისციპლინური ღონისძიებების განსაზღვრა, დარღვევის შედეგების სიმძიმის გათვალისწინებით.

უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების ოქმი № _____

1. _____

(შედგენის დრო და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

2. _____

(ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი გვარი)

3. პირი/ნივთი, რომელსაც უტარდება უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება:

/-----/ /-----/

(სახელი და გვარი)

(ნივთის დასახელება)

4. ფაქტის აღწერა (რა გარემოების საფუძველზე, რა მიზნით, სად, რა პირობებში, ვისი თანდასწრებითა და მონაწილეობით განხორციელდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება):

5. მოსწავლისადმი უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის შეტყობინება და შეტყობინების დრო

(მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი)

6. პირი, რომელიც ესწრებოდა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას:

ა) ----- ბ) -----

(სახელი და გვარი)

(თანამდებობის დასახელება)

მოსწავლე, რომლის მიმართაც განხორციელდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება

დამსწრე პირი

(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენი

(ხელმოწერა)

განცალკევების ოქმი № _____

1. -----
(შედგენის დრო და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი))

2. -----
(ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი გვარი)

3. განცალკევებული სუბიექტი:
ა) -----
(სახელი და გვარი)

4. პირი, რომელიც ესწრებოდა განცალკევების პროცესს:
ა) ----- ბ) -----
(სახელი და გვარი) (თანამდებობის დასახელება)

5. ფაქტის აღწერა (რა გარემოების საფუძველზე, რა მიზნით, სად, რა პირობებში, ვისი თანდასწრებითა და მონაწილეობით განხორციელდა განცალკევება):

6. მოსწავლის განცალკევების განხორციელების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის შეტყობინება და შეტყობინების დრო

(მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი)
დამსწრე პირი

(ხელმოწერა)
მოსწავლე, რომლის მიმართაც განხორციელდა განცალკევება

(ხელმოწერა)
ოქმის შემდგენი

(ხელმოწერა)
მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი, რომელმაც მოაკითხა მოსწავლეს

(ხელმოწერა)

ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ ოქმი № _____

1. -----
(შედგენის დრო და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი))

2. -----
(ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი გვარი)

3. პირი, ვის მიმართაც გამოყენებული იქნა ფიზიკური ძალა:

4. ფაქტის აღწერა (ფიზიკური ძალის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება):

5. პირი, რომელიც შეესწრო ფიზიკური ძალის გამოყენების ფაქტს:
ა) ----- ბ) -----
(სახელი და გვარი) (თანამდებობის დასახელება)

6. მოსწავლისადმი ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის შეტყობინება და შეტყობინების დრო

(მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი)

დამსწრე პირი

(ხელმოწერა)

მოსწავლე, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა ფიზიკური ძალა

(ხელმოწერა)
ოქმის შემდგენი

(ხელმოწერა)
მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი

(ხელმოწერა)

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

შინაგანაწესისა და ხელშეკრულების გაცნობას ვადასტურებთ ხელმოწერით და ვეთანხმებით: „გიმნაზიაში“ დასაქმებული ყველა თანამშრომელი, მშობლები, მოსწავლეები.

#	დასაქმებულის გვარი, სახელი		პირადი ნომერი	ხელმოწერა
1.	აბაშიძე	ნანი	61009010472	
2.	აბაშიძე	ნელი	61009010320	
3.	ავალიშვილი	სალომე	19001042601	
4.	ანთაძე	მაცვალა	61009012281	
5.	ანთაძე	ციცინო	61009000841	
6.	არქენაძე	ჯიმშერი	61008003269	
7.	აფაქიძე	ოსები	01020008897	
8.	ბლიაძე	თინათინი	56001004597	
9.	ბოლქვაძე	ირინა	61009002061	
10.	ბურდული	არსენა	01008045375	
11.	გაგოშიძე	ნინო	01020011751	
12.	გაგოშიძე	ქეთევანი	01011016113	
13.	გოგოლაძე	ზურაბი	56001002413	
14.	გოგოლაძე	მარინა	11001001002	
15.	გოგოლაძე	ჯამბული	56001000965	
16.	გორგაძე	ლევანი	01001071938	
17.	გრიგალაშვილი	ინგა	01022001049	
18.	ეთერიშვილი	ნანა	01019083221	
19.	ვარდოშვილი	მადონა	01030023569	
20.	ზანდარაშვილი	გაიოზი	01030014958	
21.	ირემაშვილი	თათია	01013021826	
22.	ირემაძე	მაია	01020001641	
23.	კაპანაძე	ნათელა	01024000839	
24.	კოჩალიძე	მზიური	12001031324	
25.	ლონდარიძე	ზურაბი	01020002986	
26.	მოდებაძე	თეონა	54001037120	
27.	მოსულიშვილი	ქეთევანი	01012020497	
28.	მუმლაძე	ნინო	57001021359	
29.	ნამორაძე	თორნიკე	01019075750	
30.	ნამორაძე	მაია	01020013622	
31.	ნამორაძე	ნელი	62005002764	
32.	ნამორაძე	ტარიელი	01020013527	
33.	ნოზაძე	ხათუნა	38001025860	
34.	ოქრიაშვილი	ბელა	15001003056	

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

35.	ოქრიაშვილი	შორენა	15001009556	
36.	პაპინაშვილი	ნათია	01002012128	
37.	რევაზიშვილი	რუსუდანი	56001003618	
38.	სამადაშვილი	გრიგოლი	01020007780	
39.	სამხარაძე	ნოდარი	56001001763	
40.	ტაბატაძე	ნინო	01003014685	
41.	ტუმასიან	რომან	01025016677	
42.	უნგიაძე	დავითი	01026004025	
43.	ქვრივიშვილი	თეა	01020003190	
44.	ჩადუნელი	ინგა	57001006362	
45.	ცერცვაძე	ლალი	54001046731	
46.	ხარაზიშვილი	თეა	59002000861	
47.	ხარატიშვილი	თამთა	01011042187	
48.	ხეჩუაშვილი	ეკატერინე	01002004714	
49.	ხომასურაძე	ლელა	01020010621	
50.	ხორბალაძე	მაია	01013018381	
51.	ხორბალაძე	ნათელა	01011028524	
52.	ჯანაშვილი	ლელა	01019043189	
53.	ჯიჯავაძე	მარინა	61008006146	